88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №1-2 (7055) 14 იანვარი 2022 წელი • www. Terjola. gov. ge

7 იანვარი
შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის

საშობაო ეპისტოლე

დგება დღე შეუდარებელი, სრულიად განსხვავებული და განსაკუთრებული არა მარტო კაცობრიობის ისტორიაში, არამედ მთელი სამყაროს არსებობაშიც.

ის, რაც 2022 წლის წინ იერუსალიმის მახლობლად, ბეთლემის ერთ მიტოვებულ, პირუტყვის თავშესაფრად გამოყენებულ გამოქვაბულში ზამთრის ცივ ღამეს აღესრულა, ენით უთქმელი სასწაულია, – იშვა ემანუელი!

მანამდე ღმერთი კაცობრივად არ მოვლენილა. მსგავსი რამ სამყაროში არასოდეს მომხდარა და არც მოხდება.

ეს არის დღე ცისა და მიწის, შემოქმედისა და ადამიანის ერთობისათვის გზის გამკვალავი, ეს არის დღე უფალთან ჩვენი დიდი მშვიდობის, დიდი შერიგების, დიდი სიხარულის დასაწყისისა.

გაცხადდა იაკობ მამამთავრის წინასწარმეტყველება: „წაერთმევა კვერთხი იუდას... ვიდრე არ მოვა მისი მფლობელი და ის იქნება იმედი ხალხთა“ (დაბ. 49, 10), რაც გულისხმობდა იმას, რომ როდესაც ისრაელს აღარ ეყოლებოდა კანონიერი მეფე იუდას ტომიდან, მაშინ მოევლინებოდათ ზეციური მეუფე.

მართლაც, რომის იმპერიაში, მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, იუდეაში პირველი წარმართი და უცხოტომელი მეფის, იდუმიელი ჰეროდეს მმართველობის ჟამს უცნაურმა ვარსკვლავმა და ანგელოზთა დასმა სამყაროს ამცნო იესოს შობა.

ეს იყო უფლის მოწყალების და კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის მიერ ღვთის განკაცების მრავალათასწლიანი მოლოდინის შედეგი.

ამ გზაზე იყო ებრაელთა ერის მრავალგზისი განდგომა ღვთისგან, გაუცხოება ჭეშმარიტი რწმენისგან, შიში წარმართ დამპყრობელთა წინაშე და მათი გავლენის ქვეშ მოქცევა... მაგრამ იყო სინანულიც, ღვთისადმი თავგანწირული ერთგულებაც და უფლისა და მოყვასისათვის მსახურების გამორჩეული მაგალითებიც.

დიდი რყევებისა და სულიერი ქარტეხილების მიუხედავად, სინას მთაზე მოსე წინასწარმეტყველისთვის მიცემული უფლის მცნებები ისრაელიანთა ღირსეულმა მოღვაწეებმა დაიცვეს და მოამზადეს კაცობრიობა მაცხოვრის განკაცებისთვის.

☞2



გ ვ ი ლ ო ც ა ვ ე ნ , ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

ძვირფასო თერჯოლელებო!

გილოცავთ შობა-ახალ წელს, 2022 წელი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისთვის და სრულიად საქართველოსთვის ბედნიერებისა და სიხარულის მომტანი. გისურვებთ სითბოსა და სიყვარულს!

2021 წელი საკმაოდ დატვირთული და რთული წელი იყო, რაც გამომდინარეობდა ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან. თუმცა, ჩვენ, ერთობლივად, მაინც შევძელით თითოეულ გამოწვევასა და დაბრკოლებას პირნათლად გავმკლავებოდით. არ შეგვიწყვიტავს აღმშენებლობის პროცესი. ერთი წლის განმავლობაში უამრავი პროექტი განხორციელდა ჩვენი ქალაქის გალამაზებისთვის და თითოეული მოქალაქის ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.

სწორედ ამიტომ, დამდეგი 2022 წელი, ჩვენი ერთიანობითა და მონდომებით იქნება თითოეული განსახორციელებელი გეგმის შესრულებისა და განვითარების წელიწადი!

უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

პატივისცემით,
ბეჭან წაქაძე,
საქართველოს პარლამენტის წევრი,
მაჟორიტარი დეპუტატი.

ჩემო თერჯოლელებო!

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას!

მშვიდობის, სიკეთის, სიყვარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს 2022 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

მინდა, თითოეულ თქვენგანს გულითადად მოგილოცოთ ეს დღესასწაული!

გასული—2021 წელი, მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი თერჯოლისთვის, რომელმაც კიდევ უფრო დაგვამეგობრა და დაგვაახლოვა იმ საერთო მიზანთან, რასაც თერჯოლის განვითარება ჰქვია.

აღსანიშნავია, რომ რთული ეპიდემიოლოგიური სიტუაციის მიუხედავად, თერჯოლაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა; განათლების, ჯანდაცვის, სოციალური და ინფრასტრუქტურის მიმართულებებით. წამოვიწყეთ სამომავლო გეგმები, რომელთა მეშვეობითაც, თერჯოლა უფრო მეტად განვითარებული და კეთილმოწყობილი ქალაქი იქნება. წინ საინტერესო გამოწვევები გველის და მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, მუხლჩაუხრელი შრომითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით გავუმკლავდებით.

ჩემო მეგობრებო, ჩემო თერჯოლელებო! განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მივულოცო შობა-ახალი წელი ჩვენი დროის გმირებს, ჩვენს მუნიციპალიტეტში მოღვაწე ექიმებს, პედაგოგებს, მეეზოვეებს, მეხანძრე-მაშველებსა და პოლიციელებს, რომლებიც ერთგულად ასრულებენ საკუთარ მოვალეობებს და ღირსეულად მონაწილეობენ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის განვითარებაში.

ასევე, მინდა განსაკუთრებულად მივულოცო ახალი წელი იმ ადამიანებს, ვინც დღეს არ იმყოფება საქართველოში, თერჯოლაში, მომავალი წელი მათი სამშობლოში დაბრუნების წელი უნდა იყოს!

მე მჯერა—ემიგრაციაში მყოფი ჩვენი თანამოქალაქეები, რომლებმაც ქვეყანა სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს, დაუბრუნდებიან მშობლიურ მიწა-წყალს!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ყველას ახალ 2022 წელს! გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

ლაშა გოგიაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

გილოცავთ შობა - ახალი წლის შემობრძანებას!

ძვირფასო თერჯოლელებო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, გილოცავთ დამდეგ 2022 წელს! ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის მშვიდობის, კეთილდღეობის და ჯანმრთელობის მომტანი!

მინდა, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს თითოეული თქვენგანისათვის.

გპირდებით, ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი წარმატებული იყოს. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, ჩვენ შევძლებთ უკეთეს პირობებში ვიცხოვროთ!

კიდევ ერთხელ ვულოცავ სრულიად საქართველოს და გისურვებთ ბედნიერ შობა-ახალ წელს!

გიორგი ბარათაშვილი,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

7 იანვარი შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის

1☞

საშობაო ეპისტოლე

და, აი, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალ ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან მოევლინა ამ ქვეყანას „ნათელი სოფლისა,“... „რომლისგან ყოველივე შეიქმნა და მის გარეშე არც ერთი რამ იქმნა“ (ინ.1,3); მოევლინა, რათა კაცთა მოდგმისთვის ეხარებინა:

„მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთმძიმენი, და მე განგისვენო თქვენ;“ (მთ. 11.28)

„მე ვარ პური სიცოცხლისა, ჩემთან მომსვლელს არ მოშივდება“(ინ. 6.35);

„მე ვარ კარი ცხოვართა, ვინც შედის ჩემით, გადარჩება” (ინ. 8,12);

„მე ვარ ვაზი, თქვენ კი ლერწები, ვინც ჩემში არ დარჩება, გარეთ განიგდება“ (ინ.15,5-6);

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (ინ. 14,8).

– რას გულისხმობს, უფრო სწორად, რისკენ მოგვიწოდებს ეს სიტყვები?

– სინერგიისაკენ, – ღვთაებრივი და ადამიანური ნების შეერთებისა და შერწყმისაკენ. ანუ იმისკენ, რაც უნდა იყოს ერთადერთი მთავარი აზრი და მიზანი ჩვენი ცხოვრებისა; ყველაფერი სხვა კი, მასთან შედარებით, ამაოებაა.

ჩვენში რომ მოხდეს სინერგია, აუცილებელია, შევძლოთ საკუთარი თავისა და ღმერთის ჩვენი შესაძლებლობისამებრ შეცნობა; ამისთვის კი უპირველესი პირობა ის არის, რომ ადამიანი წმინდა ნათლობით შეუერთდეს ქრისტეს; ასევე, ყოვლად აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანში მოხდეს პიროვნული შეხვედრა ღმერთთან.

ეს აუხსნელი, ადამიანური ლოგიკისათვის მიუწვდომელი მეტად შთამბეჭდავი მოვლენაა, რომელიც არავინ იცის, ვისთან და როდის აღესრულება. ისიც შეიძლება, რომ არასწორად ვცხოვრობდეთ, ცუდად ვიქცეოდეთ, ღმერთზე ფიქრსაც კი გავურბოდეთ, მაგრამ განსაცდელი, ან სხვა რამ შემთხვევა გამოგვაფხიზლებს, თვალს აგვიხელს ჩვენი ცხოვრებისა და აზროვნების წესს სრულიად შესცვლის და ჩვენი ნებითა და მონდომებით სიხარულით მიგვმართავს ცხონების ვიწრო და ეკლიანი გზისაკენ.

* * *

დღეს სხვა დროა, იტყვის მავანი ... ჩვენ სხვა სამყაროში შევაბიჯეთ და ის, რაც ადრე იყო მისაღები და მოსაწონი, თანამედროვეთათვის მოძველებულია და არაფრისმომცემი.

მართლაც, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ინტერნეტმა მოიცვა მსოფლიო, ახალი ერა დაიწყო. ტექნიკის სფეროში, თანამედროვე სამყაროში, ახლა უკვე საოცარი პროგრესია მიღწეული, თუმცა თავი იჩინა ფრიად სერიოზულმა გამოწვევებმაც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ყველანი დედამიწის, როგორც უკვე ერთიანი საერთო სივრცის ნაწილნი, ყოფით ცხოვრებას ან მკვეთრად გავიუმჯობესებთ, ან გადაულახავი დაბრკოლებების წინაშე აღმოვჩნდებით.

გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობს და იგი, ჩვენის აზრით, მხოლოდ ერთია: ყველაზე მთავარი აქცენტი ყველას მიერ გადატანილი უნდა იქნას ადამიანზე და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ წინა პლანზე წამოიწიოს იმ ღირებულებებმა, რაც მას შემოქმედთან დააახლოებს; ზეადამიანად გახდომის ამპარტავნული სურვილი კი დაღუპვის წინაპირობად გვექცევა.

„სიცოცხლე ან სიკვდილი“, – ამ არჩევანის წინაშე აღმოჩნდა დღეს ადამის მთელი მოდგმა. ასეთი მასშტაბური და ყოვლისმომცველი ნაბიჯი მანამდე არ გვქონია გადასადგმელი.

„აირჩიე სიცოცხლე“, – მოგვიწოდებს მოციქული.

მორწმუნეთათვის ეს ნიშნავს მცნებების დაცვით უფლის მიმსგავსებას, მაღალზნეობრივ პიროვნებად ჩამოყალიბებას, ნიშნავს ღვთის სადიდებლად სხვისთვის ცხოვრებას, რათა შემდეგ ცათა სასუფევლის მკვიდრნი გავხდეთ და მარადიულად ღმერთთან ვმყოფობდეთ.

ათეისტებისათვის კი ასეთი აზროვნება გაუგებარია და მიუღებელი, რადგან ისინი ეყრდნობიან ფორმულირებას: მჯერა ის, რასაც ვხედავ და არ მჯერა იმის, რაც უხილავია. ამიტომაც არც ღმერთის სწამთ, არც ჩვენი სულის არსებობის და არც მისი უკვდავების; ამასთან, მიიჩნევენ რა, რომ გარდაცვალებით ყველაფერი მთავრდება, ამქვეყნიური კეთილდღეობის ნებისმიერი საშუალებით მიღწევას ხშირ შემთხვევაში არ ერიდებიან.

* * *

მაგრამ, მორწმუნენი ვართ, თუ ურწმუნონი, როდესაც თუნდაც ამქვეყნიურ ჩვენს უკეთეს მომავალზე ვფიქრობთ, აუცილებლად წამოიჭრება მრავალი კითხვა, მათ შორის იმის შესახებ, თუ როგორ დავძლიოთ სიღატაკე, უმუშევრობა, დევნილთა პრობლემები, როგორ აღვიდგინოთ ტერიტორიული მთლიანობა? ... მაგრამ, ასევე, წამოიჭრება სხვა კითხვებიც, რომლებიც მუდამ აწუხებდა კაცობრიობას: რატომ დავიბადეთ? რატომ ვკვდებით? ვინ მოგვცა სიცოცხლე? რა არის იგი? რისთვის ვართ მოწოდებულნი? ...

☞5

ზვიად შალამბერიძე: „2021 წელი იმერეთის რეგიონისათვის იყო საინვესტიციო, წარმატებული და ნაყოფიერი“

შობა-ახალი წლის დღეებში ჩვენს გაზეთს საშუალება მიეცა იმერეთში გასულ წელს შესრულებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, ასევე ამ მიმართულებით 2022 წლის და უფრო შორეულ გეგმებზე, რამდენიმე კითხვით მიემართა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის, ბატონი ზვიად შალამბერიძისათვის, ამ კითხვა-პასუხებს აქვე გთავაზობთ.

ბატონო ზვიად უპირველესად გილოცავთ ახალ, 2022 წელს და წარმატებებს გისურვებთ მომავალ საქმიანობაში.

ასე იყო ოდითგან – ძველი და ახალი წლების გასაყარზე ყოველთვის ჯამდებოდა გასული წლის შედეგები, ისახებოდა სამომავლო გეგმები...

–როგორ შეაფასებდით იმერეთის რეგიონში 2021 წელს იმფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მგომარეობას?

მადლობა ახალი წლის მოლოცვისათვის. თქვენც გილოცავთ, ვულოცავ თქვენს მკითხველებს, ყველა თერჯოლელს, იმერეთის თუ საქართველოს ყველა მოქალაქეს. ახალი წელი ბედნიერების, სიხარულის და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს ყველა ჩვენგანისა და ჩვენი სამშობლოსათვის.

ახლა კი პასუხი თქვენს კითხვაზე. თავიდანვე ავღნიშნავ, რომ გასული 2021 წელი იმერეთის რეგიონისთვის იყო საინტერესო, წარმატებული და ნაყოფიერი. წელს იმერეთის



რეგიონში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის სხვადასხვა დაფინანსების ფონდებიდან მოხდა 800 000 000 ლარამდე თანხის მობილიზება, რითაც განხორციელდა 2 368 პროექტი. საუბარს საგზაო ინფრასტრუქტურით დავიწყებ, რადგან სწორედ მას დეთმო მნიშვნელოვანი ყურადღება ამ პროექტებში.

2021 წელს დასრულდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ნაწილის (5 კილომეტრი) და ცხრაჯვარის სალოცავთან მისასვლელი გზის სრული რეაბილიტაცია,ზემო იმერეთი – რაჭის (საჩხერე-ონის) დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია, აღნიშნულ პროექტზე ჯამში 111 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯა. განხორციელდა ძეძილეთი - გორდი - ნოღას გზის სარეაბილიტაციო და მდინარე ცხენისწყალზე და მდინარე მეჭიაზე სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოები, პროექტის ღირებულება 16 მლნ ლარზე მეტი იყო. მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქ. ზესტაფონში 2021 წელს დასრულდა შათირიშვილი-მელქაძე-მაღლაკელიძისა და აღმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 2021 წელს რიკოთის მაგისტრალის პირველ, 2 კმ-იან ორ ზოლიან ხევი-უბისას მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა. ახალი გზის მონაკვეთი მოიცავს 6 ხიდსა და 3 გვირაბს. ამჟამად მოძრაობა გახსნილია 2 კმ-იანი 4 ზოლიანი მონაკვეთის 2 ზოლზე (ცალ მიმართულებაზე), ხოლო პარალელურად არსებულ 2 ზოლიანი გზის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება. რიკოთის საუღელტეხილო გზის მშენებლობის ფარგლებში, სულ აშენდება 51.6 კმ-მდე გზა, 96 ხიდი და 53 გვირაბი.

მუდმივი ყურადღების ქვეშაა **სასკოლო ინფრასტრუქტურა.** იმერეთის რეგიონში ამ მხრივ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა. 2021 წელს რეგიონში მიმდინარეობდა 10 ახალი სკოლის მშენებლობა და 23 სკოლის სრული რეაბილიტაცია. აქედან დასრულდა 15 სკოლა. საერთო ჯამში სკოლების სრულ რეაბილიტაცია-მშენებლობაზე 83 მილიონ ლარზე მეტი იხარჯება.

აუცილებლად უნდა ვისაუბროთ **ჭიათურაში საბაგირო გზის** რეაბილიტაციაზე. ეს არის პროექტი, რომლის ფარგლებშიც სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა საბაგირო სადგურებს და გზებს. საბაგირო გზების საერთო სიგრძე 3428 მეტრია და მასზე თანამედროვე სტანდარტების 8 გონდოლა მოძრაობს. გარდა იმისა, რომ ეს არის იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის გადაადგილების კარგი საშუალებაა, ტურისტებისთვის ატრაქციაც აღმოჩნდა და ინტერესით გადაადგილდებიან ახალი საბაგიროს მეშვეობით. ასევე ჭიათურაში უკვე დაიწყო 2 ძველი საბაგიროს რეაბილიტაცია, ფაქტიურად შენარჩუნებული იქნება ძველი იერსახე, მაგრამ ამასთანავე იქნება ბოლომდე უსაფრთხო.

–რას გვეტყოდით პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები“ და საპილოტო რეგიონების განვითარების პროგრამის მიმდინარეობის შესახებ...

პრემიერ-მინისტრის ინიცირებული პროგრამის, ,,განახლებული რეგიონების“ ფარგლებში, აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტში. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია უტარდება ფასადებს, სკვერებს, საფეხმავლო ბილიკებს, საცხოვრებელი სახლების ღობეებსა და ჭიშკრებს. „განახლებული რეგიონების“ პროგრამა 4 წლიანია. ამჟამად მიმდინარეობს მისი პირველი ეტაპით დაგეგმილი პროექტების შესრულება, რომლის ღირებულება შეადგენს 75 მილიონ ლარს. გარკვეულ მუნიციპალიტეტებში სამუშაოები დასრულების ეტაპზე არის და უკვე თვალსაჩინოა ამ პროექტის შედეგიც. ამას ალბათ კარგად გრძნოთ თქვენც თერჯოლაში, სადაც მაღალხარისხოვნად სრულდება ქალაქის ცენტრალურ ნაწილში განთავსებული საცხოვრებელი სახლების და სკვერების სამუშაოები.

საპილოტე რეგიონების განვითარების პროგრამა, არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომელიც ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. იმერეთი არის ერთ-ერთი იმ 4 რეგიონიდან, სადაც მიმდინარეობს ამ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. ფაქტიურად იმერეთში ამ მიმართულებით, 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი, აქედან ნაწილი უკვე ათვისებული გვაქვს. ძირითადი პროექტები 2022 წელს არის განსახორციელებელი, რაც მუნიციპალიტეტებს რეალურად აძლევს იმის საშუალებას, რომ სხვადასხვა მიმართულებით განვითარდნენ. ეს შეიძლება იყოს ურბანული განვითარება, ტურიზმის ხელშეწყობა თუ ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ ბიზნესს უფრო მეტი წარმატების მიღწევაში. ძალიან საინტერესო პროექტებია დაგეგმილი რომლებიც დაიწყება 2022 წელს. ამ პროგრამის დახმარებით ჩვენ, 12-ვე მუნიციპალიტეტში მივიღებთ საინტერესო ურბანულ, ტურისტულ და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობ პროექტებს.

წელს, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება - ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება.

–რა კეთდება მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა მიმართულებებით?

ხაზგასმით ავღნიშნავ, რომ ამ მხრივ 2021 წელს რეგიონში ასევე აქტიური სამუშაოები მიმდინარეობდა წყალმომარაგების, გაზიფიცირების, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიმართულებით, ასევე წყალტუბოში აშენდა იუსტიციის სახლი, ასეთი სახლების მშენებლობა კიდევ 3 მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს.

გარდა ამისა, 2021 წელს, წყალტუბოში 560 დევნილ ოჯახს გადავეცით ბინა, ქუთაისში ბოლო ორი წლის მანძილზე საცხოვრებელით დაკმაყოფილდა 394 დევნილი ოჯახი, ხოლო მომავალ წელს დაგეგმილია 800 ოჯახს გადავცეთ საცხოვრებელი ფართი.

კიდევ ერთი პროექტი, რომელიც წარმატებით განხორციელდა არის მუნიციპალური ტრანსპორტის საკითხი. ქუთაისში ტრანსპორტის პრობლემა ფაქტიურად აღმოიფხვრა და ქალაქში 60 ერთეული ახალი ავტობუსი მოძრაობს, რაც მგზავრებისთვის გადაადგილების კომფორტული საშუალებაა.

განსაკუთრებით ავღნიშნავ დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის აეროპორტის შესახებ. რა თქმა უნდა იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტია არა მარტო ქუთაისის განვითარებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო მისი გაფართოება, ვინაიდან არსებული აეროპორტი ვეღარ აკმაყოფილებდა იმ მგზავრთა ნაკადს, რომელიც იყო უკვე 2019 წელს. შესაბამისად, ჩვენ დავიწყეთ აეროპორტის გაფართოება. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა შიდა ინტერიერის მოწყობა და გაერთიანდა ძველი და ახალი ტერმინალები, რის შედეგადაც ქუთაისის აეროპორტს აქვს ერთიანი ტერმინალი, მოფრენისა და გაფრენის დარბაზებით და ყველა იმ აღჭურვილობით, რომელიც მისი შეუფერხებელი ოპერირებისთვის არის საჭირო. აეროპორტს აქვს 7 გასასვლელი და საათში 1200-ზე მეტი მგზავრის შეუფერხებლად გატარებას შეძლებს, რაც აეროპორტის არსებულ გამტარუნარიანობასთან შედარებით ოთხჯერ მეტია. განხორციელებული სამუშაოების შედეგად განახლებული აეროპორტის მგზავრთა გამტარუნარიანობა წელიწადში ორნახევარ მილიონამდე გაიზრდება. ამ ეტაპზე, დავით

აღმაშენებლის სახელობის აეროპორტიდან პირდაპირი რეგულარული რეისები ევროპისა და აზიის 24 მიმართულებით სრულდება.

–როგორ შეაფასებდით გასულ წელს კოვიდპანდემიის და არჩევნების ფონზე და რა ინფრასტრუქტურულ პროექტებს განიხილავთ პრიორიტეტულად 2022 წლისათვის?

მთავარ გამოწვევად ისევე, როგორც წინა წელს რჩება კოვიდპანდემია. ამ მიმართულებით, როგორც მთელს საქართველოში მაქსიმალური ყურადღება დაეთმო პანდემიის მართვას და საკორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების დაცვას.

იმერეთი ამ მიმართულებითაც გამორჩეულია და ჩვენ შევქმენით უნიკალური მართვის სისტემა, რომელიც წელს კიდევ უფრო დაიხვეწა და მოგვეცა იმის საშუალება, რომ კიდევ უფრო ეფექტურად ვმართოთ მთლიანად ეს პროცესი. COVID-19-თან ბრძოლაში ერთ-ერთი მძლავრი საშუალება არის ვაქცინაცია და მე კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ყველას ჩავერთოთ მასობრივი იმუნიზაციის პროცესში, შევამციროთ პანდემიის რისკები და დავიცვათ ჩვენს გვერდით მყოფი ადამიანები.

რაც შეეხება 2021 წელს, პოლიტიკურად იგი ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მოგეხსენებათ, რომ ამ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა, რომელიც ოპოზიციის მიერ რეფერენდუმად იყო მონათლული, მაგრამ რეალურად მმართველმა ძალამ ღირსეულად გაიმარჯვა. რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა ენდობა ჩვენს გუნდს და ჩვენი სამოქმედო გეგმა მათთვის არის მისაღები.

ხოლო, რაც შეეხება ახალ 2022 წელს, ამ წელში კიდევ უფრო საინტერესო პროექტების განხორციელება გვაქვს დაგეგმილი. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი არის მუნიციპალური ცენტრების და სოფლების წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, რაც ჩვენი მთავრობის ამბიციური გეგმაა და ფაქტიურად 2025 წლისთვის ასი პროცენტით უნდა იყოს დასრულებული. გაგრძელდება ურბანული განახლების პროექტები, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის ჩვენს ქალაქებს. ასევე, რა თქმა უნდა გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა. კიდევ ერთი ამბიციური გეგმაა, რომ ყველა სოფელში იყოს ცენტრალური გზა მიყვანილი და შეიძლება ითქვას, რომ იმერეთის დაახლოებით ოთხმოცდაათ პროცენტში ცენტრალური მაგისტრალი მიყვანილია და გადავდივართ უკვე საუბნო გზებზე. ჩვენი გეგმაა, რომ ეს მიმართულება მაქსიმალურად იყოს ათვისებული. ასევე, გაზიფიცირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, გაზიფიცირდეს ყველა სოფელი. რეგიონში არის მუნიციპალიტეტები, სადაც ყველა სოფელია ბუნებრივი აირით უზრუნველყოფილი. ჩვენი მიზანია რეგიონის ყველა სოფელში იყოს ცისფერი აირი მიყვანილი.

–ბატონო ზვიად, დიდი მადლობა საინტერესო ინფორმაციის მოწოდებისათვის, კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებებს...

გაზეთი „თერჯოლა“

ახალი წელი—ახალი იმედები...

განსაკუთრებული, სრულიად ახალი საზეიმო ღონისძიებებით შეეგება საქართველო ახალი, 2022 წლის მობრძანებას.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით განხორციელებულმა მასშტაბურმა საახალწლო პროექტმა სრულიად საქართველო მოიცვა. ქვეყნის სამოცდასამ მუნიციპალიტეტში 24 დეკემბრიდან დაიწყო საახალწლო კარნავალების ჩატარება, რომლებმაც დაუვიწყარი საახალწლო განწყობა შეუქმნა მასში მონაწილე თითოეულ ადამიანს, დიდსა თუ პატარას...

ასე იყო თერჯოლაშიც...

დავით კლდიაშვილის ახლადრეაბილიტირებულ სკვერში 20 დეკემბერს საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე. ამჯერად, იმავე სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე, სამთავრობო საახალწლო პროექტის ორგანიზატორთა მიერ საახალწლო სოფელი განთავსდა. წინა დღეებში მოსულმა თოვლმა თავისი ხიბლი შესძინა „საახალწლო სოფელს“. თოვლის ბაბუას სახლის შემოგარენი ირმების „ჯოგმა“ აავსო. სკვერში ოთხი „სახლი“ ადგილობრივ მეწარმეებს დაეთმო... აქვე იყო საბავშვო გასართობი სივრცეები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. ბავშვებს და ნებისმიერ მსურველს შეეძლო საზეიმო-საკარნავალოდ გაეკეთებინათ მოხატულობები... თოვლის ბაბუა არიგებდა საჩუქრებს და ბავშვები მასთან იღებდნენ სურათებს. სურათები იქვე მზადდებოდა და გადაეცემოდა თითოეულს.

ხალხში მოძრაობდნენ მსახიობები, რომლებიც ართობდნენ და ამხიარულებდნენ დიდსა თუ პატარას. იყვნენ ოჩოფეხებიც. ბავშვებს დიდხანს ემახსოვრებათ სხვადასხვა ზღაპრის გმირები, დრამერები თავიანთი განსაკუთრებული ფორმით და მუსიკალურობით.

ეს ყველაფერი ნამდვილად სიახლეს წარმოადგენდა თერჯოლელთათვის.

„სახლებში“ ადგილობრივი მეწარმეები „დაბინავდნენ“ და საშობაო საახალწლო ბაზრობაც გაიმართა. უნდა ითქვას, რომ მეწარმეთა შორის იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა წარმოებულ პროდუქციას აღტაცებაში მოჰყავდა დამთვალიერებლები თუ შეძენის მსურველები. აქ გამოტანილი იყო სასმელები, ხელნაკეთი ნივთები, იყო შესაძლებლობა, აგრეთვე დაგეგემოვნებინათ გემრიელი კერძები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი გაბრიჭიძის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია, მისივე ნაწარმი: თაფლი, ჩურჩხელა, კონიაკი. ხათუნა გურულის გობელენი, თექა, ხელნაკეთი სათამაშოები და ა.შ. მერი კუპატაძის საახალწლო დეკორაციები და სხვადასხვა აქსესუარები, იზა გაგნიძის შემოქმედების ნიმუშები... აქ იყო აგრეთვე ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატის, ცნობილი გურმანის ელისო მურადაშვილის კუთხე, სადაც ტრადიციულად გემრიელ პროდუქტებს სთავაზობდნენ ზეიმის მონაწილეებს.

დიახ, 26 დეკემბერს ასეთი უჩვეულო სანახაობის მომსწრენი გახდნენ თერჯოლელები და არა მხოლოდ ისინი. გამვლელ-გამომვლელნი ინტერესით აკვირდებოდნენ დავით კლდიაშვილის სკვერში მიმდინარე პროცესს და ვისაც ამის საშუალება ჰქონდა უერთდებოდნენ ზეიმის მონაწილეებს.

მიუხედავად თოვლიანი დღეებისა, იმ დღესაც, „მზეს შეღერებულ“ თერჯოლას უხვად ეფრქვეოდა თბილი მზის სხივები და კიდევ უფრო ალამაზებდა სადღესასწაულოდ მორთულ სკვერს, სადაც სულ უფრო მეტი ადამიანი მოდიოდა.

დადგა საზეიმო ნაწილის დაწყების დროც...

გრანდიოზულ სცენაზე პირველები ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივები გამოჩნდნენ: სიმღერის ფოლკლორული ანსამბლი „იმერეთი“ და ქალთა ვოკალური ჯგუფი „იამე“ (ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი), ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ (ქორეოგრაფები: ირინა ბუცხრიკიძე, გოჩა და გიორგი ჭანკვეტაძეები), ვაჟთა ანსამბლი „მასპინძელო“ (ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე). თითოეული ულამაზესი სასიმღერო და საცეკვაო ნომრებით აღაფრთოვანებდა მაყურებელს და ბუნებრივია, მაყურებელთა ტაში არ მოჰკლებია ჩვენს მოცეკვავეებსა და მომღერლებს.

როგორ მონატრებია ყველას ერთმანეთი...

გარკვეული პაუზის შემდეგ სცენაზე დედაქალაქელი სტუმრები— მომღერალთა ჯგუფის „არას“ წევრები გამოჩდნენ. მათი რეპერტუარი ასევე ძალიან ნაცნობი, მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდა თერჯოლელი ახალგაზრდებისთვის.

დიდხანს ისმოდა ლამაზი მუსიკა და დაუვიწყარი სასიმღერო ნომრები.

მხიარული ჰანგები ადგილობრივი კოლექტივების თუ სტუმრების შესრულებით ეფინებოდა არა მხოლოდ თერჯოლის ცენტრს...

მრავალფეროვანი გასართობი პროგრამა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ყველა ასაკის ადამიანის გემოვნებაზე იყო გათვლილი.

სამთავრობო ღონისძიებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი შეუერთდნენ.

ღონისძიების დასასრულს საახალწლო ღონისძიების მონაწილეებს, შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ლაშა გოგიაშვილმა. მან დამდეგი ახალი წელი მიულოცა და ბედნიერი შობა-ახალი წელი უსურვა თითოეულს.

ლაშა გოგიაშვილმა მადლიერება გამოხატა ცენტრალური ხელისუფლების მისამართით, მადლობა გადაუხადა აგრეთვე ღონისძიების ორგანიზატორებს და თითოეულ მონაწილეს.

26 დეკემბრის საზეიმო განწყობა დააგვირგვინა ულამაზესმა ფოიერვერკმა.

წლევანდელი საახალწლო ღონისძიების წამყვანად ადგილობრივი ახალგაზრდა გოგონა, სტუდენტი სოფო პერანიძე მოგვევლინა, რომელმაც სათანადოდ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას.

იმედია საახალწლო-სამთავრობო პროექტი ქვეყნის მასშტაბით დადებითად წაადგება მოსახლეობის პოზიტიური განწყობის შექმნას.

***

წინასაახალწლო დღეებში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სოციალურად დაუცველ ოჯახებს საახალწლო ნობათები დაურიგდათ.

თერჯოლის მოქმედ ორი დღის ცენტრის „მზის სხივისა“ და „საპოვნელას“ ბავშვებისათვის შეძენილი იქნა საჩუქრები, რომლებსაც ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა დამდეგი ახალი წელი მიულოცა და თავისი ხელით გადასცა...

მერიამ 180 უდედმამო ობოლი ბავშვებისათვის მერის სარეზერვო ფონდიდან შეიძინა 60 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი - ბიბლუსის მაღაზიიდან სასურველი ნივთის შესაძენად.

***

31 დეკემბერი, 2021 წელი

სასწაულებს ველოდებით ახალი წლისაგან... და ეს ამ ჯადოსნურმა ღამემ უნდა მოგვიტანოს, ასე მოუთმენლად რომ ველოდებით.

წელს თერჯოლელები მთავარ საახალწლო ნაძვის ხესთან კვლავ დავით კლდიაშვილის სკვერში შეიკრიბნენ და შეხვდნენ ახალ—2022 წელს. საზეიმო საახალწლო განწყობა კიდევ უფრო გაალამაზა ადგილობრივმა შემოქმედებითმა კოლექტივებმა .

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ანსამბლების „მასპინძელოს“ და „იმერეთის“ მომღერლები, რომლებსაც არაერთხელ დაუპყრიათ სცენა და მაყურებელთა გულები.

დიდი და ფართოა მათი რეპერტუარი, დახვეწილი საშემსრულებლო ოსტატობა... მღერიან ვაჟკაცური შემართებით და გააზრებით იმისა, რომ სიმღერა მხოლოდ გართობა როდია, მათი სიმღერების თითოეული სტრიქონი თუ აკორდი ისტორიაა ჩვენი მრავალჭირნახული უძველესი კულტურის მქონე ქვეყნისა და ერისა. ეს არის ჩვენი საგანძური, რომელსაც თაობები ინარჩუნებდნენ და შემდგომ თაობებს გადასცემდნენ...

მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდება მაყურებელი თითოეულ ნომერს...

ახალი წლის მოლოდინში მოსახლეობასთან ერთად არიან მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, ბატონები: ლაშა გოგიაშვილი და გიორგი ბარათაშვილი და სხვა ხელმძღვანელი პირები.

შეკრებილ საზოგადოებას და სრულიად თერჯოლას შობა-ახალ წელს ულოცავს მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი.

„ჩემო ძვირფასო თერჯოლელებო, ჩემო მეგობრებო გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას! გისურვებთ, რომ 2022 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიყვარულით და ბედნიერებით დატვირთული წელი, თითოეული თქვენგანისათვის. მჯერა, რომ ჩვენი ერთიანობით, დასახული მიზნისკენ დაუღალავი სწრაფვით, შრომითა და ერთმანეთისადმი სიყვარულით თერჯოლას უფრო მეტად განვითარებულ და კეთილმოწყობილ ქალაქად ვაქცევთ.

ვულოცავთ სრულიად საქართველოს და გისურვებთ ბედნიერ შობა-ახალ წელს“...

საათის ისარი 12-ს უახლოვდება, დგება წამები, როცა ახალი წლის ჯადოსნურ ღამეს შენი ოცნებები ჩუმად უნდა გაანდო, რადგან, როგორც პოეტი იტყოდა „ახდენილი ოცნებების წელი იწყება“...

ლამაზი ფოიერვერკებით და სანუკვარი ოცნებებით შეეგება თერჯოლა და თერჯოლელები ახალი 2022 წლის შემობრძანებას...

ფეხბედნიერი იყოს ახალი წელი სრულიად საქართველოსთვის...

ფეხბედნიერი იყოს თითოეული თერჯოლელისთვის...

☞5

4☞

ახალი წელი— ახალი იმედები...

***

ქრისტეშობის დღესასწაული საქართველოში ერთ-ერთი უპირველესია დღესასწაულთა შორის. შობის სიხარულს ურთიერთ სიყვარულითა და პატივისცემით გამოხატავენ მორწმუნენი... ამ დღეს, ისევე როგორც ახალ წელს, საჩუქრების გადაცემა, შეიძლება ითქვას ტრადიციულად დამკვიდრდა და ცდილობს ყველა ეს სიხარული მიანიჭონ ახლობლებს თუ მოკეთეებს. ამ მიზანს ემსახურებოდა მუნიციპალიტეტის მერის ლაშა გოგიაშვილის კეთილშობილური ინიციატივა თერჯოლაში მცხოვრები ობოლი ბავშვებისათვის საშობაო საჩუქრების გადაცემა...

შობას, 7 იანვარს კულტურის სახლში, მერიის განათლების, კუტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ლამაზი საშობაო ღონისძიება გაიმართა. სამუსიკო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ნამდვილად დიდი სიამოვნება მიანიჭეს შეკრებილ საზოგადოებას, რომელთა შორის იყვნენ მოწვეული სტუმრები, მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები, საკრებულოს წევრები, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები.

ბიბლუსის 60 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი ბავშვებს მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა გადასცა.

„ჩემო მეგობრებო, ჩემო ძვირფასო თერჯოლელებო და მოწეულო სტუმრებო, გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს! მშვიდობა, ბედნიერება, სიკეთე და სიყვარული სუფევდეს ჩვენს ოჯახებში.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ეს დღესასწაული იმ ადამიანებს, ვისაც ყველაზე მეტად ჭირდება ჩვენი გვერდით დგომა. ვისურვებდი, რომ 2022 მათთვის წინსვლისა და გაძლიერების წელი ყოფილიყოს, ჩვენ კი შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გავაკეთებთ თითოეული თქვენგანის კეთილდღეობისათვის.

ვულოცავთ თერჯოლას და სრულიად საქართველოს ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

შობის დღესასწაული შეკრებილ საზოგადოებას და ღონისძიების მონაწილეებს მიულოცა აგრეთვე საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა.

მზია ცქიფურიშვილი

დაგელოცოთ აწ გასავლელი

„დილით რომ გაგღვიძებია, რამდენჯერ გაგხარებია“—ამბობს შოთა ნიშნიანიძე, რითაც ზედმიწევნით კარგად გამოხატავს სიცოცხლისადმი სიყვარულს და მის მშვენიერებას. მჯერა ასი წელი კარგია, საუკუნის სასიამოვნო სიმძიმე და ზედა სიმონეთში მცხოვრებ, ას წელს გადაცილებულ ქალბატონებს: **გოგოცა ბოგვერაძეს, თამარ გაგნიძეს,** სამამულო ომის მონაწილეს **ნიკოლოზ გვენეტაძეს** ვინ იცის რამდენჯერ გაღვიძებიათ და გახარებიათ! რამდენჯერ და ათეულ ათასობით. კიდევ მრავალჯერ გაღვიძებოდეთ და გაეხაროთ, ოჯახის წევრები და ახლობლები კარგად ჰყოლოდეთ, თქვენ კი, ჩვენო საყვარელო ხანდაზმულო ადამიანებო დაგელოცოთ და ტკბილად გაგეტარებინოთ აწ გასავლელი.

სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ 2022 წელს, იმის სურვილი, რომ მრავალი და მრავალი გაჰყვეს თქვენ გზას, მრავალს დასწოლოდეს მხრებზე საუკუნის სიმძიმე და რა თქმა უნდა თქვენს შთამომავალთ დიდხანს იცოცხლეთ, ანდა რაღა დარჩა, ბარემ იყოს 120...

სიყვარულით და პატივისცემით
ჟუჟუნა ცხადაძე

7 იანვარი შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

2☞

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის

საშობაო ეპისტოლე

რა თქმა უნდა, ორივე მიმართულებით გვმართებს ფიქრი, მაგრამ ამ ეპისტოლეში იმ თემებზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც სულიერ სფეროს მოიცავს და ღვთისკენ სავალი გზების ძიებაში დაგვეხმარება.

* * *

ბიბლიის პირველივე თავიდან გაცხადებულია დიდი საიდუმლოებანი მცენარეთა, ცხოველთა, ზღვის და ცის ბინადართა, ასევე, ღვთის მიერ სამყაროს შექმნის, ადამიანის დაბადებისა და მისი დანიშნულების თაობაზე.

„მე ვარ ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული“(გამოცხ. 1.8), – ბრძანებს მაცხოვარი.

„დასაწყისში იყო სიტყვა (ლოგოსი) და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი ... ყოველივე მის მიერ შეიქმნა, მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ადამიანთა ნათელი ...“ (ინ I.1-4); „წყალობით მდიდარმა ღმერთმა ... შეცოდებით მკვდარნი გაგვაცოცხლა ქრისტესთან ერთად“ (ეფეს.2,4-5) და „ღვთის ძისადმი რწმენით გვაქვს საუკუნო სიცოცხლე“ (I ინ. 5,13), – ვკითხულობთ “ახალ აღთქმაში”.

სიკვდილი კი ცოდვის შედეგია, რომელიც მის გარეშე არ არსებობს და მასზეა დამოკიდებული.

„ცოდვის საზღაური არის სიკვდილი“ (რომ. 6,23), – ბრძანებს მოციქული. ხოლო რადგან „გულისთქმა ხორცის, გულისთქმა თვალის და ამპარტავნება ამქვეყნისაგან მომდინარეობს“ (I ინ. 2-16) და უფალთან კავშირი არა აქვს, ამ წესით მცხოვრებნი თავისი ნებით შორდებიან სიცოცხლის, სიწმინდის, სინათლის წყაროს, – ღმერთს და სულიერ სიკვდილს ექვემდებარებიან.

უფალთან ყოფნა კი ნიშნავს იმას, რომ უნდა მოვკვდეთ ცოდვისათვის, ანუ დავძლიოთ ის გაუკუღმართებანი, ადამის დაცემის შემდეგ რომ შევიძინეთ.

ღმერთთან მიახლებაში, მხოლოდ განსწავლულობა და მეცნიერული პროგრესი ვერ დაგვეხმარება; აუცილებელია სულიერი სიწმინდის მოპოვება, რადგან „ღმერთი სულია და მის თაყვანისმცემლებს მართებთ სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა“ (ინ. 4,24).

წმინდა მაკარი ეგვიპტელი წერს: როგორც სხეულს სხვა და სხვა ორგანო და ფუნქცია აქვს, ასევე სულსაც აქვს სხვა და სხვა გამოვლინება და ფუნქცია.

სულის თვისებაა, მაგალითად: განსჯა, ნებელობა, სიყვარული, შემოქმედებითი უნარი; სირცხვილის, მორიდების, თავმდაბლობის გრძნობა; სიმართლისმოყვარეობა, მოწყალება, სინანული, სიბრალული, სიხარული... ისინი ღვთივბოძებული ნიჭებია, რომლებიც ჩვენს შინაგან ადამიანს ქმნის.

ცოდვებით შებღალული, უფლის ნათელს მოკლებული სულის თვისებები კი არის: ამპარტავნება, შური, კადნიერება, ღვარძლი, უსამართლობა ...

ამ უნარებს სული ჩვენს გულსა და გონებაში ავლენს; ეს, რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ ანატომიური გული და ტვინი, მაგრამ სწორედ მათში ხორციელდება ჩვენთვის გაუცნობიერებელი კავშირი სულთან და, ძირითადად, აქ იყრის თავს ჩვენი შინაგანი განცდები.

რაც თვალია სხეულისათვის, ისაა გონება სულისათვის. გონებისაგან მომდინარეობს აზროვნებისა და განსჯის შესაძლებლობა, გულში კი მგრძნობელობითობა ვლინდება. თუმცა, რასაც ადამიანი გრძნობს გულით, იგი გონებასაც მოიცავს.

და ამ დროს უნდა მოხდეს უმნიშვნელოვანესი რამ: გონებისა და გულის გაერთიანება, „გონების ჩასვლა გულში” და გონების მიერ მისი წარმართვა. ასეთი გული არის გული გონიერი. იგი საშუალებას არ აძლევს უკეთურ ფიქრებს შემოიჭრან და ცოდვად იქცნენ; არამედ ფხიზელი გონებით უკუაგდებს მათ და არ შეიწყნარებს. ამგვარი გული და გონება მიმართულია უფლისაკენ და ჩვენი სწორი სულიერი ცხოვრების ცენტრი ხდება.

წმ. მამები წერენ: ძირითადად, ოთხი რამ იცავს სულს: ქველმოქმედება, ურისხველობა, ჭირთა დათმენა, წყენის დავიწყება.

ძირითადად, ასევე, ოთხი რამ ვნებს მას: მოყვასის სიძულვილი, შური, განკითხვა, მკვლელობა.

საერთოდ, გონება ადვილად იმღვრევა, მაგრამ მალევე იწმინდება ლოცვით, წმინდა წერილის, წმინდათა ცხოვრებისა და მათი დარიგებების კითხვით.

გულის სიწმინდის მოპოვებას კი ხანგრძლივი სულიერი შრომა სჭირდება. ამის მიღწევა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა, რადგან ადამიანის წრფელი და განწმენდილი გული არის ის ადგილი, სადაც ღმერთი ივანებს.

ინებოს მაცხოვარმა, როგორც სრულიად საქართველოში, ისე მთელ მსოფლიოში, ეს სინერგია, ეს შეხვედრა ყველას გულში განხორციელდეს.

უფალს ჩვენი მონანული და მადლიერი გული უნდა შევაგებოთ და გავახაროთ. საკუთარ ცოდვათა შემცნობი ადამიანი ფრიად სათნოა ღვთისთვის.

ძველ „პატერიკში” წერია:

ერთხელ შეწუხებულმა ხალხმა ღმერთს მიმართა:

-რატომ არის ამდენი მკვლელობა, გაუტანლობა, სიძულვილი, უბედურება?

– თქვენ ეს არ მოგწონთ? – ჰკითხა უფალმა.

– რა თქმა უნდა, არა, – იყო პასუხი.

და მიუგო: – მაშ, რატომ ომობთ, რატომ ბოროტმოქმედებთ, განიკითხავთ და მძლავრობთ ერთმანეთზე?!

მართლაც, ეს ყველაფერი ხომ ჩვენი ნების, ჩვენი არჩევნის შედეგია.

რაოდენ უკეთესი იქნებოდა, ყველას ის გვეკეთებინა, რაც მოსაწონია ღვთისთვის!

* * *

მაცხოვრის მოვლინებით თითოეული ჩვენგანის დაბადებას უდიდესი აზრი მიენიჭა, რადგან ამ დღიდან ყოველ ადამიანს, განურჩევლად ასაკისა, სქესისა, ეროვნებისა, აღმსარებლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მიეცა შესაძლებლობა, თავისი დაბადების დღე უკვდავყოს და იესოს ამქვეყნად შობა აქციოს ცათა სასუფეველში, მარადიულ ნეტარებაში, თავისი შობის განმსაზღვრელად.

ამიტომაცაა ეს დღესასწაული ჩვენთვის დიდი ზეიმის, სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელი.

ჩვენს მიწიერ ყოფაში დაცემაც და წამოდგომაც, წარმატებაც და წარუმატებელობაც მონაცვლეობენ.

☞8

დეკემბრის ვერნისაჟებზე...

უაღრესად მნიშვნელოვანია საქმიანობა, რომელსაც თერჯოლის სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლა ეწევა. აქ ხატვის ნიჭით და ხატვის სიყვარულით მოდიან მოსწავლეები სკოლებიდან და პარალელურად ეუფლებიან ხელოვნების ამ დარგის საწყისს საფეხურს. აღსაზრდელებისათვის სკოლაში შექმნილია შესანიშნავი, კომფორტული გარემო და რაც მთავარია, აქ ისეთი აღმზრდელ-პედაგოგები მოღვაწეობენ, როგორებზედაც შეიძლება ვერც იოცნებო.

სამხატვრო სკოლის წარმატებულ საქმიანობას ბევრად განსაზღვრავს დირექტორის, ქალბატონის თამარ ღარიბაშვილის მაღალი პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი, ბავშვებისა და საქმის სიყვარული. დირექტორთან ერთად პედაგოგები: ეკა რიჟამაძე, თამთა მაჭარაშვილი, ნინო ჩხიკვაძე და დარეჯან გოგბერაშვილი ყველაფერს აკეთებენ, რომ მოსწავლეები ხატვის ხელოვნების დაუფლების საიდუმლოებას აზიარონ.

მოსწავლეებთან და ერთმანეთთან დამოკიდებულებით, პირადი მაგალითებით ხელი შეუწყონ მათ ღირსეულ ადამიანებად აღზრდას, გემოვნების დახვეწას, ესთეტიკური თუ ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებას...

ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად, სამხატვრო სკოლის კურსდამთავრებულთაგან სწავლას რამდენიმე სამხატვრო აკადემიაში ან სხვადასხვა სასწავლებელში ამ პროფილით აგრძელებს, სწორედ ამ სკოლისა და მისი პედაგოგიური კოლექტივის დამსახურებაა.

თერჯოლის საზოგადოება ინტერესით ადევნებს თვალს სკოლის ცხოვრებას. ყოველ ახალ გამოფენას მუდამ ჰყავს დამთვალიერებლები. ასე იყო 27 დეკემბერს, საზამთრო-საახალწლო ვერნისაჟზე, ერთი თვის წინ, ნოემბრის მიწურულს კი საშემოდგო ვერნისაჟზე.

მიუხედავად კორონაპანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა, სკოლა რეგულაციებით გათვალისწინებული რეჟიმით აგრძელებს მუშაობას. მოსწავლეები რიგ შემთხვევაში დისტანციურად ასრულებდნენ მიცემულ დავალებას, ხოლო როცა ეს შესაძლებელი იყო საკლასო ოთახში, ისე, რომ ყოველწლიურად დაგეგმილ 4-5 გამოფენისათვის ნორჩ მხატვრებს ნამუშევრები ყოველთვის მზად ჰქონდათ.

29 ნოემბერს სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლაში მრავალმა დამთვალიერებელმა მოიყარა თავი. საგამოფენო დარბაზის კედლებიდან სილამაზე და საშემოდგომო თემატიკის შესატყვისი ნამუშევრები გულგრილს ნამდვილად არავის დატოვებდა. შემოდგომით მოწეული მოსავალი, ხილი თუ ბოსტნეული ლამაზი ფერებით და ოსტატობით შესრულებული ნამუშევრებით წარმოადგინეს სკოლის აღსაზრდელებმა. გრაფიკა, ფერწერა, მინაზე ვიტრაჟები და ა.შ. რომელიც გამოყენებული ნამუშევრების მომზადებისას კარგად აჩვენებს რომ, მოსწავლეებს შეუძლიათ ფართო არჩევანით სრულად გამოავლინონ თავიანთი ნიჭი და შესაძლებლობა.

მოსწავლეთა საშემოდგომო ვერნისაჟი საზოგადოების წარმომადგენლებთან და აღსაზრდელთა მშობლებთან ერთად დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა, მუნიციპალიტეტის მერის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა ბატონმა გურამ თურქაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის მაშინდელმა თვმჯდომარემ სოფო ბუსკივაძემ, სახელოვნებო განათლების სამსახურისა და მერიის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

ქალბატონმა თამარმა მორიგი ვერნისაჟის გახსნა მიულოცა სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებს, რომელთა ნამუშევარიც წარმოდგენილია გამოფენაზე, აღნიშნა, რომ თითოეული მათგანი მოუთმენლად ელოდა ამ დღეს და ამ სიხარულს იზიარებენ აღმზრდელებიც. ეს ის მომენტია, როცა ბავშვები პირველ ნაბიჯებს დგამენ ხელოვნებაში. ბევრი მათგანის ნამუშევრებიც პირველად ნახა დამთვალიერებელმა...

სკოლა ამაყობს იმ ახალგაზრდებით, რომლებიც აქ, ამ სკოლაში ეზიარენ ხატვის ხელოვნებას, აქ მოიპოვეს პირველი წარმატებებიც რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებზე და ახლა ასევე წარმატებულად აგრძელებენ ცხოვრებას და საქმიანობას ამ სფეროში. იმდღევანდელი გამოფენიდან ქალბატონმა თამარმა დამთვალიერებელთა ყურადღება განსაკუთრებულად მიაპყრო გივიკო წაქაძის ნამუშევრებს და მას მომავალი არქიტექტორობა უწინასწარმეტყველა, ასეთივე ითქვა გიორგი რობაქიძის მისამართით, ხოლო ანანო ობოლაძე მომავალ დიზაინერად წარადგინა... მან, აგრეთვე აღნიშნა ნიკა და ვახტან ყიფიანების და სხვა აღსაზრდელთა ნიჭიერება და მონდომება...

გამოფენის მონაწილე აღსაზრდელებს და შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, უსურვა ჯანმრთელობა და წარმატებული მომავალი. „მიხარია, რომ ასეთი აქტიური და წარმატებული მუშაობა მიმდინარეობს სამხატვრო საგანმანთლებლო სკოლაში, მიხარია თერჯოლელი ბავშვების ნიჭიერება და წარმატებები... ადამიანი ყალიბდება აღქმის უნარით, ასეთი გარემო, აქ წარმოდგენილი ნამუშევრები, სილამაზე ნამდვილად დადებით გავლენას იქონიებს და ჩვენ გვეყოლება მეტი განათლებული და ესთეტიკურად განვითარებული ახალგაზრდა.

დიდი მადლობა მინდა გითხრათ ყველას, აღსაზრდელებს, პედაგოგებს, მშობლებს... ჩვენგან მუდმივი თანადგომა გექნებათ სკოლას და მის აღმზრდელებს“— აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

***

წლის ბოლო სააახალწლო-საზამთრო გამოფენა-ვერნისაჟი კი სამხატვრო საგანამანათლებო სკოლაში 27 დეკემბერს გაიმართა, გამოფენამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თერჯოლაში ნამდვილად არიან ხატვის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები, ხოლო პედაგოგები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თითოეულ მოსწავლეს შეეძლოს საკუთარი ნიჭისა და აზრის ნათლად ჩამოყალიბება და გამოხატვა.

წლის ბოლო გამოფენაზე დამთვალიერებელთა სიმრავლე და კიდევ მეტი ღიმილიანი სახე იყო, რაც რა თქმა უნდა, მოსწავლეთა ნამუშევრების ანუ კედლებიდან გადმოსული სილამაზის დამსახურებაა.

საახალწლო-საზამთრო გამოფენა მართლაც ძალიან საინტერესო და ლამაზია. აქ წარმოდგენილია ნამუშევრები, ფერწერა და გრაფიკა, რომლებიც თემატურად ახალ წელს და ზამთარს ასახავს...

ვეფხვის წელიწადმა უამრავი ლამაზი ვეფხვი გააჩინა გამოფენაზე, იყო თოვლის ბაბუა და სანტაც... ზამთრის პეიზაჟი სხვადასხვა სიუჟეტებით... დეკემბრის ბოლოს მოსულმა თოვლმა და საახალწლო განწყობილებამ თავისი გავლენა იქონია ნამუშევრებზე, მისი სილამაზე ნამდვილად შვენოდა გამოფენას...

თამარ ღარიბაშვილმა დამდეგი ახალი წელი მიულოცა შეკრებილ საზოგადოებას, აღსაზრდელებს, პედაგოგებს, მშობლებს, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებს, შემდეგ კი მან ერთგვარად შეაჯამა გასული 2021 წელს სკოლის მიერ გაწეული მუშაობა, ისაუბრა აქტივობებზე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული მოსწავლეები... აღინიშნა, რომ როცა სკოლას ამთავრებს უკვე გარკვეული ცოდნითა და ხატვის ხელოვნებას დაუფლებული თაობა და მოდის ახალი და ყველაფერი თავიდან იწყება, ჩნდება განცდა—როგორი შესაძლებლობის თაობასთან გვექნება საქმე... და გულწრფელად უნდა გითხრათ ყველას და მათ შორის თქვენ, ჩემო კარგებო... თქვენში უკვე საკმაოდ დამაიმედებელი ნიჭიერი აღსაზრდელი აღმოვაჩინეთ და ეს ძალიან მიხარია—მე ვამაყობ თქვენით, მომწონხართ ყველანი. ეს თაობა ნამდვილად იტყვის სათქმელს...

ხატვის სწავლა არც ისე ადვილია, მაგრამ თუ გაქვს ნებისყოფა, სურვილი, მოტივაცია და ნიჭიც, წინ ვერაფერი დაგიდგებათ. ეს ყველაფერი კი თქვენშია და უნდა აუცილებლად გამოიყენოთ. ამით გემოვნებასაც აიმაღლებთ და უკეთესს პიროვნებადაც ჩამოყალიბდებით.

კიდევ აღვნიშნავ ხაზგასმით, თერჯოლაში ძალიან ბევრი ხატვის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვია და მე წარმატებებს ვუსურვებ თითოეულს...

სკოლის აღმზრდელებს და პედკოლექტივს დამდეგი ახალი წელი და მორიგი ვერნისაჟი მიულოცეს მუნიციპალიტეტის მერმა ბატონმა ლაშა გოგიაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა: დავით გოგბერაშვილმა და ჯემიკო ისაკაძემ, მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა გურამ თურქაძემ.

შემდეგ კი თითოეულ აღსაზრდელს მერიისაგან საახალწლო საჩუქარი გადასცეს, სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს და ამით 2021 წელიც მხიარულად დაასრულეს. წინ ახალი წელი, ახალი იმედები, ახალი გამოფენები და ახალი წარმატებებია...

მზია ცქიფურიშვილი



2022 წელი

იანვარი

ორ.		3	10	17	24	31
სამ.		4	11	18	25	
ოთხ.		5	12	19	26	
ხუთ.		6	13	20	27	
პარ.		7	14	21	28	
შაბ.	1	8	15	22	29	
კვ.	2	9	16	23	30	

თებერვალი

ორ.		7	14	21	28
სამ.	1	8	15	22	
ოთხ.	2	9	16	23	
ხუთ.	3	10	17	24	
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

მარტი

ორ.		7	14	21	28
სამ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთ.	3	10	17	24	31
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

აპრილი

ორ.		4	11	18	25
სამ.		5	12	19	26
ოთხ.		6	13	20	27
ხუთ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	

მაისი

ორ.		2	9	16	23	30
სამ.		3	10	17	24	31
ოთხ.		4	11	18	25	
ხუთ.		5	12	19	26	
პარ.		6	13	20	27	
შაბ.		7	14	21	28	
კვ.	1	8	15	22	29	

ივნისი

ორ.		6	13	20	27
სამ.		7	14	21	28
ოთხ.	1	8	15	22	29
ხუთ.	2	9	16	23	30
პარ.	3	10	17	24	
შაბ.	4	11	18	25	
კვ.	5	12	19	26	

ივლისი

ორ.		4	11	18	25
სამ.		5	12	19	26
ოთხ.		6	13	20	27
ხუთ.		7	14	21	28
პარ.	1	8	15	22	29
შაბ.	2	9	16	23	30
კვ.	3	10	17	24	31

აგვისტო

ორ.	1	8	15	22	29
სამ.	2	9	16	23	30
ოთხ.	3	10	17	24	31
ხუთ.	4	11	18	25	
პარ.	5	12	19	26	
შაბ.	6	13	20	27	
კვ.	7	14	21	28	

სექტემბერი

ორ.		5	12	19	26
სამ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	
კვ.	4	11	18	25	

ოქტომბერი

ორ.		3	10	17	24	31
სამ.		4	11	18	25	
ოთხ.		5	12	19	26	
ხუთ.		6	13	20	27	
პარ.		7	14	21	28	
შაბ.	1	8	15	22	29	
კვ.	2	9	16	23	30	

ნოემბერი

ორ.		7	14	21	28
სამ.	1	8	15	22	29
ოთხ.	2	9	16	23	30
ხუთ.	3	10	17	24	
პარ.	4	11	18	25	
შაბ.	5	12	19	26	
კვ.	6	13	20	27	

დეკემბერი

ორ.		5	12	19	26
სამ.		6	13	20	27
ოთხ.		7	14	21	28
ხუთ.	1	8	15	22	29
პარ.	2	9	16	23	30
შაბ.	3	10	17	24	31
კვ.	4	11	18	25	

მარხვები

დიდი მარხვა – 7.03-დან 24.04-მდე
პეტრე-პავლობის მარხვა – 20.06-დან 12.07-მდე
მარიამობის მარხვა – 14.08-დან 28.08-მდე
შობის მარხვა – 28.11-დან 7.01-მდე
იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღე – 11.09
ჯვართამაღლება – 27.09
ყოველი შვიდეულის ოთხშაბათი და პარასკევი, გარდა მსგეფსისა

აკურთხე გვირგვინი წელიწადისა სიტკბოებითა შენითა, უფალო...

24 აპრილი
ბრწყინვალე აღდგომა
იესო ქრისტესი

7.01–შობა უფლისა
4.01–წინადაცვეთა უფლისა
19.01–ნათლისღება. წყლის კურთხევა
27.01, 1.06–ნინოობა
15.02–მირქმა
7.04–ხარება
17.04–ბზობა-ბაიაობა (მოძრავი)
6.05, 23.11–გიორგობა
12.05, 13.12–ანდრიაობა
22.05, 19.12–ნიკოლოზობა
2.06–ამაღლება (მოძრავი)
12.06–სულთმოფენობა (მოძრავი)
7.07–შობა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
12.07–პეტრე-პავლობა
13.07, 14.10–სვეტიცხოვლობა
19.08–ფერისცვალება
28.08–მარიამობაᲗ
11.09–თავის კვეთა წმ. იოანე ნათლისმცემლისა
21.09–ღვთისმშობლობა
27.09–ჯვართამაღლება
4.12–ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება
17.12–ბარბარობა
24.12–ყოველთა ქართველთა წმიდათა ხსენების დღე

მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

26.02 ხორციელის შაბათი
19.03 დიდი მარხვის მეორე შაბათი
26.03 დიდი მარხვის მესამე შაბათი
2.04 დიდი მარხვის მეოთხე შაბათი
3.05 თომას კვირის სამშაბათი
11.06 სულის შაბათი (სულთაობა)
5.11 დიმიტრის შაბათი

ახალი წელი „განსხვავებულისა“ და ჩახუტების გარეშე

მოვიდა ახალი 2022 წელი, მოვიდა დალოცვილი და დაუკითხავად შემოაღო ყველას სახლის კარი. მოვიდა და შევეგებეთ. სტუმარი ღვთისაა, ფართოდ გავუღეთ სახლის კარი, ვისურვეთ—უფრო უკეთესი ყოფილიყოს, ვიდრე მისი წინამორბედი. უფრო მშვიდობიანი და სტაბილური, უფრო დოვლათიანი და ხვავრიელი, უფრო მხიარული და არა სევდიანი...

მერე რა, რომ ამ იმედებს თავის მსახვრალ ხელს ამჩნევს მსოფლიოს მოდებული პანდემია ე.წ. კოვიდ-19. განვლილ ორ წელში, თითქოს გამოინახა ამ ჭირთან იძულებითი თანაცხოვრების გარ-

კვეული გზები, მაგრამ ვაი, რომ ვირუსი განიცდის მუტაციას და ახალი შტამები უკიდურესად ამძიმებს ვითარებას. აი, მორიგი ინფორმაცია:

„ახალ მუტაციას, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გამოჩნდა, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ შეშფოთების გამომწვევი ვარიანტის სტატუსი მიანიჭა და სახელიც დაარქვა—ომიკრონი. ის შეიძლება დაემალოს, როგორც ხელოვნურად, ასევე ბუნებრივად გამომუშავებულ იმუნიტეტს, ეს კი ნიშნავს, რომ არსებობს პოტენციური რისკი, პანდემიის ათვლის წერტილი 2020 წლის მარტში დაბრუნდეს, რადგან ვირუსის მიმართ მოწყვლადი იქნება, პრაქტიკულად, ყველა“... ეს სიტყვები ცნობილ ალერგოლოგ-იმუნოლოგს ბიძინა კულუმბეგოვს ეკუთვნის, თუმცა იქვე მიუთითებს, რომ „მუტაციების მაღალი რისკი ჩნდება იქ, სადაც უფრო დაბალია აცრის მაჩვენებელი“.

როგორც მედიკოსები ასკვნიან თუ გვინდა ინფექციამ არ დაგვაზარალოს, ორი მექანიზმი უნდა მოქმედებდეს—შემაკავებელი ღონისძიებები და ვაქცინაცია.

ხშირად მესმის ხოლმე კითხვა, რატომ არის საქართველოში კოვიდის ასეთი აფეთქება, რატომ იზრდება ყოველდღიურად დაინფიცირებულთა რიცხვი, შესაბამისი სავალალო შედეგებით. პასუხი ჩემი აზრით ასეთია: ყველა არ ვიცავთ მითითებულ რეგულაციებს, ვერა და ვერ დავიდა ადამიანებამდე, რომ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო, რომ აუცილებელია ატარო პირბადე, საუბრისას არ შეიძლება „პირში ჩაუძვრე“ ადამიანს (ბევრს აქვს ეს ჩვეულება) და ისე ელაპარაკო, თუ შენი ოჯახის წევრი დაინფიცირდა და მკურნალობს, იყავი იზოლირებული სხვებისაგან, მოერიდე კონტაქტებს, სულ ადვილად შეიძლება ინფექციის გადამტანი აღმოჩნდე.

ვხედავთ, რომ ადამიანები ერთგვარად გაუთამამდნენ ჭირს. დღესავით მახსოვს, ჩვენს სამეზობლოში, ერთ ოჯახში პირველად რომ იჩინა თავი ვირუსმა. სათოფეზე აღარ ეკარებოდათ არავინ, თითქოს კეთროვანები იყვნენ. შემეცოდნენ ადამიანურად, მაგრამ რა შემეძლო, სტრესში ვიყავით ყველა. საბედნიეროდ მოხდა ისე, რომ ამ ოჯახის ყველა წევრმა იოლად გადაიტანა პანდემია, გარდა ერთი ხანდაზმული წევრისა, რომლის საავადმყოფოში დაწვენა გახდა საჭირო. ღვთის მადლით ისიც გამოჯანმრთელებული დაბრუნდა სახლში.

მეორე და მესამე შემთხვევაში იმდენად სჭარბობდა გამოჯანმრთელებულთა რიცხვი, ადამიანებმა თანდათან უკლეს სიფრთხილეს. ხშირ შემთხვევაში დაივიწყეს ის ელემენტარული წესი, რომ ასეთ დროს საჭიროა დარჩე სახლში და იყო თვითიზოლაციაში, მაშინაც, როცა ოჯახის რომელიმე წევრს აქვს კოვიდი. რამოდენიმე მაგალითს მოვიყვან, როცა გაუფრთხილებლობა ძვირი დაუჯდათ კონკრეტულ პირებს. ერთ ოჯახში ლხინის სუფრაზე რამდენიმეჯერ ჩამოატარეს განსხვავებული სასმისი (ამაზეა ნათქვამი ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო) შედეგად შვიდამდე პირმა აირიდა დაავადება, კონკრეტული რამოდენიმე ოჯახის წევრებმა სხვა ქალაქში იმოგზაურეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით. არ იცოდნენ, რომ უკვე ვირუსი შეყრილი ჰქონდათ და ვიდრე სრულად იჩენდა თავს დაავადება, კონტაქტობდნენ მეზობელ პირებთან. სერიოზული მკურნალობა გახდა საჭირო მდგომარეობის გასანეიტრალებლად.

ერთ-ერთმა ქალბატონმა სამუშაოს რომ მორჩა, გადაწყვიტა ქალაქში, მართოდმყოფი მეგობარი ქალბატონი მოენახულებინა. ერთად ივახშმეს და სტუმარი ღამითაც მასთან დარჩა (სოფელში, თავის სახლში აღარ წავიდა). გაირკვა შემდეგ, რომ არათუ მისი ოჯახის წევრს, არამედ თვით მასაც კოვიდი ჰქონია შეყრილი. ისე გამოვიდა, რომ სიკეთის ქმნის ნაცვლად დაავადება მიუტანა სახლში მეგობარს.

წარმოიდგინეთ ახლა მისი მდგომარეობა, მაგრამ რაღა ეშველებოდა წამხდარ საქმეს—მასპინძელს სერიოზული მკურნალობა დასჭირდა და ძლივს დაუძვრა ხელიდან დაავადებას.

მკითხველი მიხვდება, რომ შეგნებულად არ ვასახელებ გვარს და სახელს. მითუმეტეს, რომ შემთხვევები პანდემიის გავრცელებისა ხდება არა ბოროტებით, შეგნებულად, არამედ ერთმანეთისადმი სითბოთი და სიყვარულით. ყოველ ზემოთაღნიშნულ შემთხვევაში დაინფიცირების წყარო ცდილობდა თავისებური გულისხმიერება გამოეჩინა კონკრეტული მეორე პირისადმი.

ისე კი გამოვიდა ნათქვამი რომაა დათვს ფერებაში ბელი შემოეჭამაო. მკითხველი იმასაც მიხვდება, რომ ამ ფაქტების მოყვანას და საერთოდ წერილს პროფილაქტიკური დანიშნულება აქვს. თუ ვინმე გაითვალისწინებს შეგონებას და მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს თავის თავსაც არგებს და სხვებსაც.

ახალი წელი მოვიდა. ახალ წელს განსხვავებულიც უხდება და ჩახუტებაც, ლხინიც და მხიარულებაც, მაგრამ საღღეისო ვითარებაში, რაც საჭიროა და სასარგებლო ის უნდა ვაკეთოთ.

ღმერთი იყოს ყველა ჩვენგანის მფარველი, ბედნიერი ახალი წელი გვისურვებია!

7 იანვარი შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის

5☜

საშობაო ეპისტოლე

თუ დიდი ტკივილი ან განსაცდელი შეგხვდათ, ადამიანთა ბოროტების, მტრობის, შურის, ღალატის მსხვერპლნი გახდით, გული არ გაიტეხოთ. მიიღეთ ეს, როგორც თქვენთვის სარგო მწარე, მაგრამ მაკურნებელი წამალი, მიიღეთ, როგორც თქვენგან გასავლელი გზის საჭირო მონაკვეთი, რომელიც აუცილებლად დასრულდება. თუმცა მისი ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თქვენი გული და გონება როგორ უპასუხებს ასეთ გამოწვევებს.

რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენგანს ჩვენი ჯვარი გვაქვს სატარებელი, მაგრამ არის საერთო განსაცდელებიც. მაგალითად, დღეს პანდემიაა ასეთი.

ხალხი დაითრგუნა მუდმივი უარყოფითი ინფორმაციით, ჩაკეტვით, სიკვდილიანობით ... მართალია, მსხვერპლი დიდია და სიფრთხილე ყოვლადაუცილებელი, მაგრამ სასოწარკვეთას არ უნდა მივეცეთ და არც შევშინდეთ. უნდა განგვამტკიცოს რწმენამ იმისა, რომ გარდაცვალება არ ნიშნავს არსებობის შეწყვეტას, რადგან ადამიანის სული უკვდავია. მთავარია, სულიერი სიკვდილის, მარადიული ტანჯვის მსხვერპლნი არ გავხდეთ.

ყოვლადწმინდა სამებას ვავედრებ ჩვენგან წასულ ჩვენს სულიერ შვილებს, რომ შეიწყალოს ისინი და აცხოვნოს.

საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მყოფთ, საერთოდ, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია შობის დღესასწაული და ვინც თავს ჩვენი ეკლესიის შვილად მიიჩნევს, – გთხოვთ, იცხოვრეთ ერთმანეთისა და სამშობლოსათვის.

ჩვენ, ღვთის განგებით, ერთ სივრცეში, ერთ პერიოდში იმიტომ მოგვიწია ყოფნა, რომ ამ მოცემულობაში უნდა გამოვიცადოთ, უნდა შევძლოთ ღვთის სადიდებლად „ურთიერთას სიმძიმე ვიტვირთოთ და ესრეთ აღვასრულოთ სჯული იგი ქრისტესი“ (გალატ. 6.2).

ჩვენი დამოკიდებულება შვილებთან, მშობლებთან, და-ძმებთან, ახლო თუ შორეულ ნათესავებთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან, ნებისმიერ სხვა პიროვნებასთან, ისევე, როგორც ჩვენი დამოკიდებულება სნეულთა, პატიმართა და გაჭირვებულთადმი, პირადი და საქვეყნო საქმისადმი, გარდაცვლილი ახლობლებისა და წინაპრებისადმი, ცხოველებისა და გარემოსადმი ... უდიდესი გამოცდისა და პასუხისმგებლობის წინაშე გვაყენებს, რადგან სადაც არ უნდა ვიყოთ და ვინც არ უნდა ვიყოთ, ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა, მნიშვნელოვანია.

ძნელია ასეთ დიდ სივრცეში იმოქმედო და შეცდომები არ დაუშვა. ჩვენი ეგოისტური „მე“ ხომ მუდმივად უძებნის გამართლებას ჩვენს ცოდვებს, არასწორ საქციელს ... ამასთან, საკუთარ თავს ადვილად ვპატიობთ იმას, რაზეც სხვას მკაცრად ვთხოვთ პასუხს. ხშირად კი, საერთოდაც ვერ ვხედავთ ჩვენს ცოდვებს.

უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის გარედან შეხედვა, ჩვენი ქმედებების სხვისი თვალით შეფასება და ობიექტური განსჯა. ეს არის ამოსავალი წერტილი ჩვენი სწორი სულიერი ხედვისთვის. მაშინ უკვე ღვთის შეწევნით, სინანულით, აღსარებითა და ზიარებით ყველაფრის გამოსწორება და კეთილად წარმართება იქნება შესაძლებელი.

თითოეულმა ჩვენგანმა ერთი წლის მანძილზე თუნდაც ერთი არასწორი ჩვევა ან თვისება რომ აღმოვფხვრათ, რამდენად უკეთესი გახდება ცხოვრება! დაისახეთ ეს მიზნად.

* * *

გაუფრთხილდით დროს!

დრო ძალიან ძვირფასია, თუ მისი საშუალებით ცხონებას მოვიპოვებთ; დაკარგულ დროზე დასანანიც არაფერია, თუ იგი წარწყმედის მიზეზად გვექცევა (ჩვენ კი ხშირად სწორედ ფუჭად გატარებული დროით ვხარობთ).

არდავიწყება გვმართებს იმისაც, რომ დროის მოთხოვნილებები, დროის სული ცვალებადია; ხშირად იგი ცრუ იდეალებს გვთავაზობს და ბევრი შეყავს შეცდომაში იმის მიუხედავად, რომ ხედავენ, რაც გუშინ სამაგალითოდ ითვლებოდა, მას დღეს დასცინიან და რასაც დღეს აქებენ, ხვალ შეიძლება დაიწუნონ.

სწორად მოიქცევი, თუ შეძლებ, იაზროვნო ისე და აკეთო ის, რაც მარადიული ცხოვრებისთვის იქნება სარგებლის მომტანი.

ამიტომაც, ორიენტირად ღმერთი და მისი ღირებულებები აირჩიე, იგია მხოლოდ უცვალებელი, ზედროული და ჭეშმარიტი. მიემსგავსე ლოტს, რომელიც ყველაზე მძიმე გარემოში, სოდომში, ცხოვრობდა, მაგრამ უფლის მცნებას არ ღალატობდა.

ამას შენც შეძლებ, თუ მუდმივად უფალს დაეყრდნობი და მისი მცნებებით იმოქმედებ. ეკლიანია ეს გზა, მაგრამ თან ახლავს სიხარული განსხვავებული, რომელიც ყველა განსაცდელს, ყველა სირთულეს ადვილად დაგვაძლევინებს, ზოგს შეუმჩნევლადაც, იმის მსგავსად, როგორც ჯანსაღ სხეულში შეუმჩნევლად მიმდინარეობს სხვადასხვა ურთულესი პროცესი.

შენ ხარ მოწოდებული, რათა იყო შემოქმედის თვალშეუდგამი ნათლის თანაზიარი; მთელი სამყარო, როგორც ცოცხალი წიგნი, შენს წინაშეა გადაშლილი და ქადაგებს ყოვლადწმიდა სამების დიდებას. სიყვარულით გვიმზერს ბეთლემს შობილი ყრმა იესო, თავისკენ გვიხმობს და მოგვიწოდებს:

აირჩიე სიცოცხლე, აირჩიე ნეტარი მარადიულობა!

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, ასირიელნო, სომეხნო, ებრაელნო, აზებაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ჩერქეზნო, ჩეჩენნო, ლეკნო, ყოველნო შვილნო ივერიის ეკლესიისა, – იხარებდით, რამეთუ ღმერთი გამოჩნდა დღეს ხორცით; აქებენ მოგვნი, მწყემსთა თანა განკვირვებულნი, შობასა მისსა ქალწულისაგან და დიდებასა შესწირვენ ანგელოზთა გუნდთა თანა (იოანე მტბევარი).

ჩვენც ანთებული სანთლით კრძალვით მივეახლოთ მას და სიხარულით ღაღადვყოთ:

დიდება ძალსა შენსა, მხსნელო ყოველთაო!

დიდება და მადლობა შენდა, საღმრთოითა მადლითა სოფლისა აღმავსებელო!

დიდება შენდა, სასოებაო ჩვენო, დიდო მღვდელმთავარო, მეფეო და ღმერთო ჩვენო!

თქვენთვის მარადჟამს სიყვარულით
მლოცველი
ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი
თბილისი, 2021 / 2022

ექიმი, რომელსაც სახელით იცნობენ

... დიდი ხნის უნახავ ადამიანს შევხვდი. ძლივს გამოგვეცალა სალაპარაკო. ბოლოს ისე, სხვათაშორის მითხრა—ვერა ვარ კარგად, წავალ გია ექიმთანო. ვინ იყო გია ექიმი არ დაუზუსტებია, ალბათ ჩათვალა, რომ უნდა მიმხვდარიყავი.

დიახ, ჩხარის ამბულატორიის გამგეს და ექიმს—გია სიმონგულაშვილს რაიონში სახელით იცნობენ.

დატვირთული დღეები გია ექიმისათვის და მისი, აგრეთვე კვალიფიციური ექთნებისათვის: ლალი ქურციკიძისა და შორენა ისაკაძისათვის, არ არის იშვიათი. ყოფილა დღე 15-20 და მეტი ადამიანიც მიუღიათ, პანდემიის პირობებში განსაკუთრებით, გიას ტელეფონი იშვიათად არის თავისუფალი.

ცნობილია, რომ ეს ვირუსი სრულად არ არის შესწავლილი, დიდი გამოცდილება არ არის დაგროვილი, მაგრამ რაც არის, ყველა იცის, აქვს საკუთარი დაკვირვებებიც, მაგრამ ფრთხილობს, ბევრს ფიქრობს პაციენტებზე. გია თვითონაც ხშირად უკავშირდება მათ, განსაკუთრებით კი, ვისაც უჭირს ამბულატორიაში მისვლა ან არ ჰყავთ მუდმივი მეთვალყურე.

უპასუხო ორი კითხვა

რამდენადაც ბევრს ესაუბრება პაციენტებს, ყოველ კითხვაზე დაწვრილებით სცემს პასუხს, შეკითხვის გარეშეც ხვდება საჭიროებებს, ცოტას საუბრობს, ცოტას კი არა საერთოდ ვერაფერი ვათქმევინეთ საკუთარ თავზე. „თქვენზე ამბობენ, რომ ბევრი კოვიდპაციენტი გადაარჩინეთ კვალიფიციური რჩევებით. ვიცით, რომ ეს ასეა, ამიტომ მეორე კითხვაც აუცილებელია—რა რჩევებს მისცემთ მოსახლეობას კოვიდპანდემიასთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით“. „მე რა უნდა ვთქვა, ინფორმაციები მრავლად მოიპოვება, ჩემზე ცნობილი ექიმებისგან, როცა ვინმე მაკითხავს, ან მირეკავს, ცხადია, ასე ვერ ვუპასუხებ, საჯაროდ და საგაზეთოდ, ცოტა უხერხულია“-ო. ეს ერთგვარი თავმდაბლობაა, გია სიმონგულაშვილი საქმით გამოხატავს ადამიანებთან დამოკიდებულებას.

გიას ისეთივე კარგი ოჯახი აქვს, როგორი კარგი ექიმიც არის. ჰყავს მეუღლე ლალი კაპანაძე, ჩხარის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ორი

შვილი: ანა და არჩილი—ექიმი და ეკონომისტი. ლალის და გიას ოცნება შვილიშვილებია—ოცნება მალე აუხდებათ, შვილიშვილები გარს რომ შემოეხვევიან სიცოცხლისა და შრომა-კეთების სურვილი უფრო გაძლიერდება. ოჯახს და სამსახურს გია ექიმი დროის უდიდეს ნაწილს ახმარს, მაგრამ ყოველთვის პოულობს დროს მუშაობდეს საკუთარ თავზე, კითხულობს, ეცნობა სიახლეებს, მსოფლიო მედიცინის მიღწევებს, თავის გამოცდილებას უზიარებს თანამშრომელ ექთნებს, რომლებიც ეწევიან ფართო ახსნა-განმარტებით მუშაობას ვაქცინაციის მნიშვნელობაზე და აუცილებლობაზე. მათ რამდენიმე ასეულ ადამიანს ჩაუტარეს ვაქცინაცია, მაგრამ არასაკმარისიაო—ამბობენ, სოფელში ბევრმა გადაიტანა ვირუსი, სრულ ვაქცინაციას გეგმავენ.

მისი ჰიპოკრატეს ფიცი

არ ვიცი, წარმოთქვამენ თუ არა ახალგაზრდა ექიმები მუშაობის დაწყებისას ექიმის ფიცს, მაგრამ გია ექიმს რომ წარმოთქმული აქვს და ეს ფიცი მისთვის დღემდე კანონია, დაბეჯითებით ვიცი. არასოდეს დაურღვევია და უღალატნია ამ ფიცისათვის. საავადმყოფოში და ამბულატორიებში სი ფიცი თვალსაჩინო ადგილზე იყო გამოკრული და პაციენტებიც კითხულობდნენ, იმედიანად მიდიოდნენ ექიმთან და, რა თქმა უნდა ,გიასთან, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ავტორიტეტი, ნდობა, სიყვარული, მუდამ იმსახურებდა ექიმისათვის ძვირფას სიტყვას—გმადლობთ.

ყოველი გადარჩენილი, ჯანმრთელობააღდგენილი პაციენტი გიასათვის ყველაფერზე მაღლა დგას, ამიტომაა სიყვარულით გარემოსილი და ამიტომ იცნობენ სახელით.

ამხანაგობის კორპუსი „საპოვნელა“

მოგონება—„ხელისგულზე დასატევ“ აფხაზეთზე...

„ჩემამდე გვიან მოვიდა ცნობა, რომ მამიდა და ჩემი სხვა უახლოესი ადამიანები სეპარატისტებმა დახვრიტეს“ თქვა „საპოვნელას“ ყოფილმა ბინადარმა, ახლა, კომპაქტური ჩასახლების საბინაო ამხანაგობის „საპოვნელას“ თავმჯდომარემ ნანა გელაშვილმა და თვალებში სევდა ჩაუდგა. დევნილობის 27 წელი არ აღმოჩნდა საკმარისი ოდნავ მაინც გაფერმკრთალებულიყო წარსული, სამშობლოდან სამშობლოში—სამასზე მეტმა დევნილმა თერჯოლაში ძირითადად პიონერთა ქალაქ „საპოვნელაში“ დაიდო ბინა და მათი „ნავთსაყუდელი“ გახდა.

ნანა წარმოშობით თერჯოლელია, დაწყებითი განათლება ჩხარში მიიღო, მერე მამიდამ წაიყვანა აფხაზეთში, გაგრაში დაამთავრა საშუალო სკოლა, იქვე მიიღო ტექნიკური და უმაღლესი განათლება, მუშაობდა გაგრის კულტურის სახლში, საბავშვო ბაღში აღმზრდელ-მეთოდისტად, აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეცვალა ნანას ცხოვრებაც, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ტოვებდნენ მშობლიურ კერას და სახიფათო გზებით საქართველოს სხვა კუთხეებს აფარებდნენ თავს. ნანამ მცირეწლოვანი შვილი მეზობლებს ანდო, სწორედ მეზობლებმა გადმოიყვანეს იგი ჯერ სამეგრელოში, შემდეგ

თერჯოლაში ნანას ბიძის ოჯახს ჩააბარეს, თვითონ „საპოვნელაში“ მოხვდნენ, ნანა გაგრაში დარჩა. მალე უფრო გართულდა ვითარება, მუდმივი სროლების, სიკვდილის შიშის ქვეშ ყოფნა შეუძლებელი აღმორნდა და ნანა და მისი მეზობლები, ისევ აფხაზი მეგობრების დახმარებით რუსეთის საზღვარზე გადმოვიდნენ, იქიდან საქართველოში, თბილისში მათი გზები გაიყარა, ნანა თერჯოლაში წამოვიდა, ბიძა-ბიცოლას ოჯახში, სადაც შვილი ეგულებოდა.

ნანა ამბობს, რომ ვერასდროს გადაიხდის ბიცოლას, ნაზიკო აბულაძის, ვერც „საპოვნელას“ დირექტორის ლამზირა ბარბაქაძის და მისი თანამშრომლების ამაგს, აქ იგრძნეს აფხაზეთიდან ლტოლვილებმა სტუმარ-მასპინძლობის საოცარი ძალა და მადლი.

„გვიყვარს მზე, მთვარე, ქართული, მაგრამ ორივე მგონი, ცად გვიკიდია სტუმრისთვის, როგორც მაშველი რგოლი“, ეს ცნობილი სტრიქონები მიესადაგება აფხაზეთიდან დევნილი 300-ზე მეტი ადამიანის წლების განმავლობაში თერჯოლაში ცხოვრებას. 1992 წელს აქ 48 ოჯახი დაბინავდა, მერე თანდათან ემატებოდათ და იშვიათად აკლდებოდათ კიდეც, რადგან სხვა საშუალებები გამოუჩნდათ, მაგრამ „საპოვნელა“ იყო და, როგორც ნანამ თქვა, სიცოცხლის ბოლომდე დარჩება აქ გატარებული შეიძლება მძიმე, მაგრამ მშვიდობიანი და უსაფრთხო ცხოვრების წლების მოგონებად. „მახსოვს მოსახლეობა, სკოლები, როგორ გვიზიდავდნენ პროდუქტს, ტანსაცმელს, ჩვენ ვტიროდით ამ თანადგომის გამო და გვახსენდებოდა გაგრაში ჩვენი შრომით, გარჯით სავსე და უზრუნველი, საკმაოდ მდიდრული ცხოვრება“—ამბობს ნანა და დღესაც არ ასვენებს გაგრაში ოდესმე დაბრუნებაზე ფიქრი, იქ ხომ ახლობლების და უსაყვარლესი მამიდის საფლავია. „საპოვნელაში“ გატარებული წლები ნანასა და ასეულობით სხვა ადამიანისთვის, მათთვისაც, ვინც აქ დაიბადა, აქ შექმნა ოჯახი და უახლოეს წინაპართა საფლავიც აქ აქვს, არის ტკბილ-მწარე მოგონების წლები. 2013 წელს საპოვნელას ბინადრები საავადმყოფოს რეაბილიტირებულ შენობაში გადავიდნენ, „ამხანაგობის კორპუსს“-საპოვნელა დაარქვეს, სიყვარულის ნიშნად, დასტურად იმისა, რომ არასოდეს დაავიწყდებათ წარსული. ახალი „საპოვნელადან“ მზერა ძველისკენაც აქვთ მიპყრობილი, ნანას თქმით—იქ მაინც დადიან...

„ჩემმა და სხვა დევნილების შვილებმა სკოლა აქ დაამთავრეს, დაოჯახდნენ, შვილები შეეძინათ, მიმოიფანტნენ, ერთმანეთთან კავშირი არ გაგვიწყვეტია, ვმეგობრობ თერჯოლელებთან, ბევრი უახლოესი მეგობარი მყავს, უნდა გამოვყო ციალა არეშიძის ოჯახი, რომელიც სულ გვერდით მედგა და მიდგას ახლაც“.

ნანას ორი შვილიშვილი ჰყავს, ერთი სტუდენტია, მეორე აბიტურიენტი, ნელ-ნელა აბარებენ ავადმოსაგონარ დღეებს წარსულს. ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დედის და ბებიის მონაყოლით იცნობენ აფხაზეთს და მშობლიურ ქალაქ გაგრას, აფხაზეთში დაბრუნება ოცნებაა, ასეა ყოველი ჩვენგანისთვისაც, გვინდა ნახვა „ზღვის კალთებზე მოფარფატე თოლიის“ და „უსაქართველოდ მკერდმოჭრილის“. საპოვნელაზე მცხოვრები და სხვა დევნილები, რომლებიც საპოვნელაზე არ ცხოვრობდნენ, მაგრამ თერჯოლაში ირიცხებოდნენ, ახლა ამხანაგობის კორპუსს „საპოვნელაში“ ცხოვრობენ, იმ იმედით, რომ კვლავ „ერთი მამალი გააღვიძებს ოდიშ-აფხაზეთს“.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის გვერდით გვედგა, ბევრჯერ გვიგვრძნია გაჭირვების ჟამს დახმარება, ჩვენ, დევნილებიც ყოველთვის მათთან ვიდექით, ჩვენ, დევნილები ის ხალხი ვართ, რომლებიც არაფერს ვივიწყებთ, მადლობა თერჯოლას და თერჯოლელებს“—ამ სიტყვებით დაასრულა ნანა გელაშვილმა ჩვენთან საუბარი.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

თავისებური ხელოვნების ნიმუში

რთულია ხელოვნება, ამოუწურავია მისი სახეობები, სიღრმე და ძალა. ხელოვნების ნიმუშები იქმნებოდა ყველგან, სადაც ადამიანი არსებობდა. ალისუბანშიც არსებობს ადამიანი, რომელიც ქმნის იშვიათ და ნატიფად შესრულებულ, თვალით ხილულ,

დეკორატიული დანიშნულების ნიმუშებს, რისთვისაც იყენებს ძველი ხის ნივთებს, ავეჯს და აქსოვს მათ თანაბარი ზომის, თავ-ბოლო მოჭრილ სიმინდის ქურჩას. დიახ, სიმინდის ქურჩას, რომელიც თითოეულ სოფლის ოჯახს მრავლად აქვს. თუ არ ნახავ მარიამ კუტივაძის ნამუშევრებს, ვერ დაიჯერებ, რომ მშვენიერი ნიმუშებისათვის სიმინდის ქურჩა და ძველი ნივთები გამოიყენება, არის ზოგი ნიმუში, მაგ. ხელჩანთა, გადასაფარებლები მარტო ქურჩისაგან იქმნება...

მარიამი უმაღლესი განათლებითაა, მუშაობდა თბილისში, ნიჭიერს, ჭკვიანს, ნაკითხს, იქაც შეეძლო თავისი ადგილის პოვნა, მაგრამ მამა გარდაეცვალა, არ მიატოვა დედა, უმცროსი ძმა, სახლ-კარი და დაბრუნდა.

რთული და ძნელი ყოფილა ქურჩაზე მუშაობა, თუ შთაგონება არ მოვიდა, ვერ მუშაობს, მაინც ბევრი სხვადასხვა ნივთი აქვს შექმნილი, რომელსაც ვერ ელევა, გასაყიდად ვერ იმეტებს, გაუჩუქებია, მაგრამ სული და გული გაჰყოლია. ერთი ნამუშევარი იტალიაში, ერთ-ერთ ქართულ რესტორანშია და ხიბლავს თურმე შემსვლელთ.

თბილისში, ქართულ-იტალიურ საწარმოში დაეუფლა საქმეს, აქ ეზიარა ქურჩით ქსოვის იშვიათ პროფესიას და ბედნიერი იყო, როცა დამოუკიდებლად ფარშევანგი შექმნა. ქურჩით დამზადებული ნივთის გამძლეობა, კარგ მდგომარეობაში 5-6 წელია, უფრო დიდხანს მისი გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ ნივთი, რომელზედაც ქურჩას აქსოვს, გალაქულია.

შრომის, ფიქრის, განცდის ნაყოფი

2018 წელს ეზოების კონკურსი მოეწყო. გამოვლინდა სამი გამარჯვებული: ნუგზარ გამყრელიძის, შორენა გვენეტაძის და მარიამ კუტივაძის ეზოები. მარიამს ეზოში 40-50 კვ. მეტრზე მოჰყავს სხვადასხვა სახეობის სეზონური ყვავილები, გამოყავს ქოთნის ყვავილები, ისიც მრავალი ჯიშის, თითოეულ ყვავილს, თავისი პატარა ისტორია აქვს, თითოეული უყვარს და თავს ევლება: ჰოია, პეპერომია, ბალბა, ტროპიკი, სინდაფსუსი, გვიმრა, ჭინჭარა, მონსტერა, დიფენბახია... ხუთასამდე ჯიშს იცნობს... არის პატარა საყვავილე თერჯოლის ავტოსადგურის, პატარა ბაზრის ტერიტორიაზე, სადაც ძირითადად საკუთარს სთავაზობს მომხმარებელს, ცხადია იძენს კიდეც... მისი პატარა „სამფლობელო“ მრავალნაირი ქოთნის ყვავილებით არის სავსე, სახლშიც ბლომად აქვს და თანდათან ავსებს ამ „სამფლობელოს“.

რაიონში თითქმის არავინ მის-

დევს მეყვავილეობას, რომლითაც არსებულ რამდენიმე საყვავილეს მოამარაგებს, ჩვენი ვაწარმოოთ, ჩვენი ვიყიდოთ, ჩვენი გავყიდოთ, უკეთესი იქნება. ადრე რამდენიმე ოჯახი მისდევდა ამ საქმიანობას და როგორც მაშინ ამბობდნენ—კარგი შემოსავალი ჰქონდათ.

იქნებ არის ვინმე, რომელიც ყვავილების მოყვანით არის დაკავებული, სიამოვნებით გავაცნობთ ასეთებს რაიონს.

***

ხელოვნება რთულია და მრავალფეროვანი. მარტივად რომ ვთქვათ, ესაა რაიმე თვალსაჩინო საქმეში დახელოვნება, დაოსტატება—ასეთია მარიამ კუტივაძე—საქმეში დახელოვნებული, დაოსტატებული, საქმეზე შეყვარებული, მებრძოლი, ცხოვრებისეული სიძნელეების (რომელიც მრავლად ჰქონია) დამძლევი.

ყვავილების მოყვარულები მის პატარა სამყაროში არ მოიწყენთ.

მასწავლებლობა—დიდი დანიშნულება და პასუხისმგებლობა...

თუზის საჯარო სკოლაში (დირექტორი თინა დათუაძე) 191 მოსწავლე სწავლობს, მათ სწავლა-აღზრდის საქმეს 34 მასწავლებელი ემსახურება. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ამ სკოლაში აღზრდილები ღირსეულ ადგილს იმკვიდრებენ საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, პედაგოგები მარტო სკოლაში სწავლისას კი არ ზრუნავენ მათზე, არამედ ინტერესდებიან მათი შემდგომი საქმიანობით, თითოეულის ცხოვრება იციან, იციან სად არიან, როგორ არიან...

სკოლაში ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები, ჰყოლიათ და ჰყავთ მედალოსნები, გრანტის მფლობელნი, ოლიმპიადებსა და კონფერენციებში გამარჯვებულები. სკოლის წარმატებები საერთოა და ამ წარმატებაში თითოეული პედაგოგია ჩართული, თითოეულზე შეიძლება თბილი სიტყვების თქმა, მაგრამ ამჯერად დაწყებითი კლასების პედაგოგზე, ამჟამად პირველი კლასის მასწავლებელზე ინგა წიწილაშვილზე მოგახსენებთ.

ინგა წიწილაშვილი... აქვს სკოლაში, დაწყებით კლასებში მუშაობის 21 წლის გამოცდილება. რამდენიმე თაობა, ასეულობით პირველკლასელი მის ხელში ეზიარა იაკობ გოგებაშვილის დედაენას, არასოდეს უფიქრია, სხვა ავტორის სახელმძღვანელო გამოეყენებინა, იცის იაკობის დედაენის მადლი და ფასეულობა. ქალბატონმა ინგამ განუვითარა პირველ-მეოთხე კლასელებს ძირითადი სამეტყველო უნარები, ასწავლა მათ წერა-კითხვა, მოსმენა, საუბარი, გამოუმუშავა წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა, შეაყვარა კითხვა, ჩამოუყალიბა აზრის ცხადად, მკაფიოდ, მწყობრად გამოხატვის უნარი, უვსებდა და ამდიდრებდა პატარების ლექსიკურ მარაგს, ანბანის შემდეგ დამარცვლით, თითის გაყოლებით აკითხებდა მათ პირველ წინადადებებს. ინგას პატარა აღსაზრდელები მზად არიან მაღალი საფეხურისთვის, წარმატებას, რომელსაც თუზელი მოსწავლეები აღწევენ, არის ინგა წიწილაშვილის დამსახურებაც...

ოჯახი და სკოლა ინგასთვის განუყოფელია. ინგამ და მერის წარმომადგენელმა სოფელში მამუკა გოგბერაშვილმა სანიმუშო ოჯახი შექმნეს, ორი შვილი აღზარდეს—ნია და ნიკა, ორივე უმაღლესი განათლებით, ჰყავთ შვილიშვილი ნიას მხრიდან. ინგასა და მამუკასათვის ოჯახი და სამუშაო ყველაფერია, განუყოფელი ერთმანეთისგან. „მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებ მივცე პატარებს ის პირველდაწყებითი განათლება, რაც მაღალ კლასებში უკეთ სწავლის საფუძველია, კვლავაც დავეხმარები პატარებს პიროვნული, ზნეობრივი, გონივრული და ფიზიკური შესაძლებლობის განვითარებაში, ხელს შევუწყობ მათში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სისტემატურად გავაცნობ მოსწავლეს და მის მშობელს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, ვიქნები შუამავალი მოსწავლეს, მშობელსა და კლასის სხვა მასწავლებელს შორის, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში რეგულარულად მივაწვდი მშობელს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, წარმატებების თუ წარუმატებლობის შესახებ, მეყვარება და ვიამაყებ მათით“—ამბობს ინგა.

თუზის საჯარო სკოლის 11 პირველკლასელი საიმედო ხელშია: გაკვეთილზე მთელი სისრულით ჩანს ინგა წიწილაშვილის პიროვნება, ცოდნა, განათლება, ბავშვებისადმი სიყვარული, დამოკიდებულება, ინგა მასწავლებელს კარგად ესმის აღზრდის დანიშნულება, ამბობს, რომ მასწავლებელს დაკისრებული აქვს უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რომ იგი არის სინდისის სიმბოლო, მიაჩნია, რომ მასწავლებელი ბრძენი უნდა იყოს, სრულყოფილი, რომ მატერიალური მდგომარეობა გავლენას არ უნდა ახდენდეს მის პასუხისმგებლობაზე და საქმისადმი დამოკიდებულებაზე.

ნამდვილად ასეა, სწორედ ამიტომ არის ეს პროფესია დაფასებული და სწორედ ამიტომ მარტო მასწავლებელს უხდიან ქუდს...

ძველი პროფესიები არ უნდა დაიკარგოს...

გაზეთ „თერჯოლაში“ ხშირად ქვეყნდება ინფორმაციები იშვიათი პროფესიის ადამიანებზე, შეიძლება ერთი და იგივე ადამიანებზეც, რადგან გვინდა დავიწყებას არ მიეცეს უძველესი და გამორჩეული პროფესიები, ადამიანები, რომლებიც ტრადიციულად მისდევდნენ: მჭედლობას, მყნობას, მეწისქვილეობას, სხვადასხვა ნაკეთობების დამზადებას, ქსოვას, ჭრა-კერვას და სხვა.

ამ რამდენიმე ხნის წინ მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ძევრში, ბატონ ფრიდონ კუტალაძეს შევეხმიანე, აქ მცხოვრები ერთი ოჯახი მოვიკითხე—კმაყოფილების გრძნობა დამეუფლა როცა მითხრა, რომ მხნედ არის, ქურაც აქვს და საბერველიც, სამჭედლო შენობაც და კვლავაც მისდევს ძველ პროფესიასო. „კარგია, რომ არც თქვენ ივიწყებთ ამ საჭირო ხალხს და ტრადიციულ ხელობასო“, მითხრა ბატონმა ფრიდონმა და გამეხარდა, მხარდამჭერი რომ აღმომაჩნდა. დიახ, ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ძველი და იშვიათი პროფესიები, ნალბანდობის მიმდევარი ადამიანები, ხელი შევუწყოთ ამ დარგს და ამ ადამიანებს, რომლებიც ცოტანი არიან, ასაკი აქვთ და მოფერება ჭირდებათ.

ბატონო რეზო—სამოცდათექვსმეტი არაფერია

ძევრელი რეზო რობაქიძე თხუთმეტი წლის იყო როცა პირველად შეასრულა ძნელი, მაგრამ საინტერესო სამუშაო —ხარის და ცხენის ნალი გამოჭედა, ისე, როგორც მისი წინაპრები ვასილი და ალექსანდრე ჭედდნენ, თითქმის ორი საუკუნის წინ, ეს იყო დრო, როცა ძევრში და თითქმის ყველა სოფელში, ასეულობით ადამიანს ჰყავდა ხარი, ან ცხენი, რომლითაც მიწას ამუშავებდნენ, ერთეულები კი მჭედლობდნენ—ჭედვით, კვერვით ლითონისაგან ამზადებდნენ ნალს, ნალის ლურსმანს, სასოფლო სამეურნეო იარაღებს, ჭედდნენ ცხენებსა და ხარებს, ჰქონდათ კიჰორჭი (ხარიხა), უღელი, გაზი, ფლოქსათალი, ჩაქუჩი, ქურა, საბერველი და სხვა მრავალი მოწყობილობა. ეს ყველაფერი ახლა იშვიათობაა, ხარ-ურემიც ძალიან ცოტას ჰყავს და მჭედლობასაც ცოტა მისდევს, მაგრამ ვინც მისდევს პატივისცემას იმსახურებს.

***

რეზო რობაქიძე სამოცდათექვსმეტი წლისაა, მაინც მხნედ, ვაჟკაცურად გამოიყურება, არა, კი არ გამოიყურება, ჭეშმარიტად არის ასეთი—მხნე, ვაჟკაცი, კვლავაც მშრომელი და ტრადიციული ხელობის მიმდევარი.

დიდი, გამართული და შეძლებული ოჯახი აქვს რეზოს, ვენახი, ყანა გარკვეულ შემოსავალს აძლევს, ოჯახის უფროსს გვერდში უდგანან შვილები, პატარა შვილიშვილებიც კი. ამ ოჯახს მჭედლობით მიღებული შემოსავალი არაფერში სჭირდება, რეზოს შეუძლია დაისვენოს, მაგრამ საქმეს ვერ ელევა, წინაპართა წინაპრების მიერ დაწყებულ საქმეს აგრძელებს და ცდილობს სხვასაც შეაყვაროს. მყიდველი დღემდე ჰყავს, სოფელს ჭირდებათ სასოფლო-სამეურნეო იარაღები და არ აქვს უფლება მიატოვოს ეს საქმე.

უყვართ სოფელში კარგი კაცი და მისი ოჯახი. ყოფილმა გამგებელმა ვახტანგ იამანიძემ მითხრა—შენ კიდევ არ იცი მაგ რა ოჯახიაო.

...ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო, ჩაქუჩი, რკინის, ფოლადის ნაჭრები ერთ გადახურულშია და ნაკვერჩხლდება ნახშირი, ლღვება ლითონი. ასი დარტყმა და ნალი მზადაა, ორმოცდაათი დარტყმა და მზადაა ნალის ლურსმანი, იპირებ-ილესება თოხი, ნამგალი, ბარი, წალდი, ნაჯახი, ცული... შრომით დაღლილი და კმაყოფილი რეზო ფიქრობს მომავალ დღეზე, რომელიც უკვე დაგეგმილი აქვს, ფიქრობს ფუძის გამგრძელებელზე—შვილებზე, შვილიშვილებზე, სხვა ახალგაზრდებზე, იქნებ ვინმე დაინტერესოს, ჩემს შემდგომაც ხომ უნდა გააგრძელოს ვინმემ ეს უძველესი ხელობაო—ფიქრობს.

ოღონდაც, ბატონო რეზო!

შობა-ახალ წლის ტრადიციები

რეზო რობაქიძემ და მისმა აწ გარდაცვლილმა მეუღლემ, ქალბატონმა გულნაზიმ ერთად ორი, ასევე ღირსეული შვილი—ქეთევანი და ალექსანდრე აღზარდეს, ორივეს უმაღლესი განათლება მისცეს, ახლა ამ ოჯახში ალექსანდრესა და ნათიას შვილები—მარიამი, პირველი კლასის მოსწავლე და ოთხი წლის რეზი იზრდება, დიდია მამიდა ქეთევანის წვლილი მათ აღზრდაში, რძალ-მული დროებით არ მუშაობენ, პატარების აღზრდასა და ოჯახის მოვლა-პატრონობაზე აქვთ გადატანილი ყურადღება, ოჯახს ორივეს ხელი სჭირდება, მითუმეტეს ჩურჩხელების კეთებას, „ურიცხვ“ საყოლიებელს.

***

რეზო რობაქიძის ოჯახში შობა-ახალწლის სუფრა ორჯერ იშლება, ოცდათერთმეტი დეკემბრის და ცამეტი იანვრის ღამეს. ძველით ახალი წელი უფრო უხვი და მრავალფეროვანია, ტრადიციული რიტუალებით სრულდება. სამზადისი ადრე იწყება, ქალბატონი გულნაზი სიცოცხლეში „უფროსი“ დიასახლისი იყო, მერე ქეთევანი, ახლა ორივე ქეთევანი და ოჯახის რძალი ნათია განკარგავენ შობა-ახალწლის სამზადისს. პირველად ბასილს, მტევანს და რქას აცხობენ, ბასილზე ჯვარს, მტევანზე ყურძნის მარცვალს ტვიფრავენ, რქას რგოლს უკეთებენ. 14 იანვარს, გამთენიისას კაცები ვენახში მიდიან, მიჰყავთ ქათმის მამალი და ჰკლავენ, მიაქვთ დოქით ღვინო, მტევანი, რაც ყურძნის მოსავლის სიუხვის სიმბოლოა, რქას მსხვილფეხას რქაზე ჩამოაცვამენ და შეაჭმევენ, ბასილი კი წლის სიუხვის სიმბოლოა, ბედნიერების მომტანი, მას ოჯახის ყველა წევრი გასინჯავს, ცოტა მოგვიანებით მეფეხე მოვა, „დატვირთული“ ხორაგ-ტკბილეულით და ასევე „დატვირთული“ წავა.

***

შობა ერთ-ერთი უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია, ამ დღეს ყველა ოჯახი ზეიმობს, (25 დეკემბერს) 7 იანვარს აღსრულდა ხორცშესხმული უფლის შობა, ქრისტეს შობით მარადისობა მოვიდა, ბედნიერება მოვიდა, და ჩვენ მადლიერნი, ისე, როგორც ანგელოზები ქრისტეშობის ბრწყინვალე ღამეს, ვუგალობთ უფალს...

ორმაგი სიხარული ახლავს შობის დღეს რობაქიძეების ოჯახში, შობას დაიბადა რეზოს შვილიშვილი, რომელსაც რეზი დაარქვეს, რეზი უმცროსი ახლა ოთხი წლისაა. დაე აღსრულდეს უფლის მიერ დადგენილი და 120 დაებედოს, რეზი უმცროსმა იცის რამდენიმე საბავშვო, იოლად სასწავლი ლექსი, მალე უფრო რთულს შეეჭიდება, დავით გურამიშვილს და მის ბრწყინვალე ლექსს, „ვაი რა კარგი საჩინო“... თუნდაც იმიტომ რომ ქრისტეშობის დღეს არის დაბადებული.

ოჯახი მეალილოეებს გვიან ღამემდე ელოდება, თუ მოვლენ საჩუქრებსაც მიიღებენ, ხმაშეწყობილად რომ ვერ იმღერონ, ტექსტიც რომ შეეშალოთ მაინც.

გვერდის ავტორი
ჟუჟუნა ცხადაძე

დახვრეტა—არ გათელილი დროშისთვის

2008 წლის 8 აგვისტო! ქარელის რაიონი, სოფელ ავნევიდან ცხინვალში გადავიდა სხვა თანამებრძოლებთან ერთად, დაჭრილები უნდა გადმოეყვანა, მაგრამ ტყვედ ჩავარდა. ოსი სეპარატისტების და დაქირავებული მებრძოლების ბრძანება—ფეხით შემდგარიყო ქართულ ეროვნულ დროშაზე და გაეთელა, არ შეასრულა.

დახვრიტეს... ძევრელი შმაგი სოფრომაძე ამ დროს სახმელეთო ჯარების პირველი ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის უფროსი სერჟანტი იყო.

უშანგი სოფრომაძის გმირობა აღიარებულია. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ჰააგის სასამართლო იცნობს მის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტს.

ძევრის საჯარო სკოლა, უბანი, სადაც ცხოვრობდა, სკვერი, სადაც ბავშვობაში უთამაშნია, მისი სახელობისაა.

საფლავი კი მუხათგვერდშია, ერთი მუჭა ძევრის მიწაც აყრია.

შმაგის ოჯახი ცამეტი წლის შემდეგ

შმაგის მამა ბატონი ომარი, მეუღლესთან ქალბატონ ქეთევანთან ერთად ძევრში ცხოვრობს, ჯერაც და მარად მოუშუშებელი იარით, ძვირფასი შვილის გმირული სიკვდილი ოდნავ უმსუბუქებთ ტკივილს, აძლიერებთ შმაგის უღელი ბიჭები: გიგი და ზაზა, შმაგის მეუღლე მშვენიერი ქალბატონი თეა ტაბატაძე და ქალიშვილი სოფო.

მამის გადიდებულ სურათთან, დედის, მამიდის, ბებია-ბაბუის მზრუნველობის ქვეშ გაიზარდნენ გიგი და ზაზა. გიგი თექვსმეტი წლისაა, ზაზა თხუთმეტის. ახლა მათ სრულად აქვთ

გაცნობიერებული 2008 წლის აგვისტოს ომი, საქართველოს ეროვნული დროშის მნიშვნელობა და სიდიადე, ამ სიწმინდეს შეწირული მამა და მისი გმირობის ამბავი. „შმაგი სოფრომაძის შვილები არიან“ საკმარისია ითქვას და მთელი საქართველო უმალ მიხვდება მათ ვინაობას.

***

მუხათგვერდის საძმო საფლავი კი მუდამ დაფარულია ხასხასა ყვავილებით, მრავალი სანთელი ინთება და იწვის შმაგის და სხვა დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, აქ მიდიან არა მარტო ოჯახის წევრები და ახლობლები, არამედ ნაცნობ-უცნობნი, თითქმის მთელი საქართველო, აქ ივლიან მომავალი თაობები, მაგრამ მაინც, შმაგის საფლავის მარადიული დარაჯი იქნება მუხათგვერდის სასაფლაოს გარინდება და სიჩუმე.

მშვიდობა გქონდეს შენს მყუდრო ძილში!

***

დგას 2022 წელი. სრული ცამეტი წელი გავიდა შმაგი სოფრომაძის გმირულად დაღუპვის შემდეგ. კვლავაც ჯავრიანია და მოწყენილი ოჯახის წევრები, გლოვობენ, მაგრამ სულით ძლიერები არიან, დიდი პასუხისმგებლობა აქვთ აღებული, შმაგის შვილების აღზრდით გამოწვეული. ყოველი წლის შობა-ახალ წელს სოფო, თეა, გიგი და ზაზა სოფელში იკრიბებიან, ტრადიციას, რომლის უპირველესი შემსრულებელი შმაგი იყო, არ არღვევენ, ყველაფერი ისე კეთდება როგორც ადრე, სიხარულის სხივი დგება ამ დროს ქალბატონ ქეთევანისა და ბატონი ომარის თვალებში, მაგრამ სევდაც ისადგურებს მათ გულებში, იმ დღეს ნატრობენ, როცა შმაგი ცოცხალი ჰყავდათ, მაგრამ იმედი იმარჯვებს, ფიქრი მომავლის და აძლიერებთ ერთმანეთის სიყვარული, ძლიერი და მტკიცე ოჯახის არსებობა, იმედი, რომ ბიჭები დავაჟკაცდებიან, არასოდეს დაივიწყებენ ვისი შვილები არიან, რომ თაობებს გადაეცემა შმაგის გმირობის ამბავი, შვილთაშვილები და კიდევ მათი შვილები იამაყებენ ღირსეული წინაპრით.

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალ წელს გვილოცავს ქალაქ თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი, კალიგრაფისტთა რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული მაგლონი კუპატაძე



ვილოცავთ ახალი 2022 წლის მეშობლობებს!

ვილოცავთ ყველას: ბაბუებს, ბებიებს, სჯილდებულებს, ასხვადასხვა ოლიმპიადების, ძმობლიებს, ყველა პროფესიის ადამიანს, ხახდასხვილებს. ვილოცავთ ეროვნულ ფერებს, ძალაფლი ნელი, თავიანი საძმობლოში მეფობენად დასტოვებს ნელი ყოფილიყოს.

ვასურვებთ, ძალე ნელს თერჯოლაში, საქართველოში და სოფლიად მსოფლიოში, ოჯახიანი, მეფობიანი სახლები ვეფხისტყაოსნ, ახმლოფლობა, მეფობიანობა, დიდებულობა, კეთილდღეობა და ბედნიერ ყველა ოჯახში.

ვილოცავ ახალ ნელს ხიხალოლი, ოჯახიანი და ცხოვრებაში ესიამოვნებების ფარული ძალებს.

ბაგლონი კუპატაძე

ქ. თერჯოლის პირველი საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

კროსვორდი
გილოცავთ ახალ წელს!



1. ბრძოლის მოგება. 2. ვეფხვი, ლეოპარდი, ავაზა და... 3. მტაცებელი ცხოველი. 4. გუთნისდედის სიმღერა. 5. საეკლესიო მღვდელმსახურება, რომელიც საღამოთი სრულდება. 6. გუნდური სიმღერა, რომელსაც ასრულებენ ალილოზე სიარულის დროს. 7. კლდეში გამოკვეთილი ქალაქი. 8. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. 9. თოვლის ... 10. ცხრა ძმა... 11. მსოფლიოს ყველაზე ძლიერი ადამიანი. 12. ზებუნებრივი წყალობა. 13. მთავარი ქრისტიანული მღვდელმსახურება. 14. ხალიბაური ... 15. ხალხური ზეპირი გადმოცემა. 16. დედამიწისა და სხვა ციური სხეულების ერთიანი სისტემა.

კროსვორდი შეადგინა
ნუგზარ გამყრელიძემ

ვეფხვი: ძუძუმწოვარი ცხოველი.

გავრცელებულია ჩრდ. კორეაში, ჩინეთში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, მალაის არქიპელაგზე, ჩრდ. ირანში, უსურიისა და ამურის მხარეებში, თალიშში, ამუდარიის ხეობაში, იშვიათად თურქმენეთში.

საქართველოში ვეფხვი არ ბინადრობს, მაგრამ ერთხელ, მე-18 საუკუნის დამლევს, სოფელ ახმეტის მახლობლად მოკლეს, მეორედ 1922 წელს თბილისის მახლობლად სოფ. ლელობთან.

ვეფხვი ნადირობს მსხვილ ძუძუმწოვრებზე, იშვიათად ფრინველებზე, ქვეწარმავლებზე და სხვ, თავს ესხმის ადამიანსაც.

ორ-სამ წელიწადში ერთხელ შობს თვალაუხელელ უსუსურ 2-4 ბოკვერს, მაკეობა 105 დღემდეა. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 4 წლისა. ცოცხლობს 20 წელზე მეტ ხანს. აქვს 6-7 მეტრ სიგრძის ნახტომი.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და ძვ. მწერლობაში სიტყვა „ვეფხვი“ აღნიშნავდა ჯიქს (ლეოპარდს ან პანტერას) დღევანდელი გაგებით კი მხოლოდ XX საუკუნეში დამკვიდრდა (იხ. ჯიქი). ენციკლოპედია გვ. 387

საახალწლო გასართობი ძველით ახალი წლისათვის

13 იანვარს, საღამოს, სანამ 12 სთ. ჩამოჰკრავს, დრო რაღაცით ხომ უნდა „მოვკლათ?“ (მამაკაცებზეა საუბარი, თორე ქალბატონებს იცოცხლეთ-თქო საქმე თავსაყრელად ჰქონდეთ!)

ამ დროს რაიმე გასართობი უნდა მოვიძიოთ ან მოვიგონოთ, ან, სულაც—გამოვიგონოთ.

ვნახოთ, რა გამოვა:

—ჩვენი რაიონის მკვიდრი, რომელიც მრავალი წელია ეძიებს და პოულობს, როგორც მიწის ზედაპირზე, ისე მიწისქვეშეთშიც. . . .

—სიტყვა „სიყვარულს“ მივუსადაგოთ სინონიმი, რომელიც თავის მხრივ ნიშნავს—მლაშე წყლის დიდ მასას.. . .

—ადამიანებს დიდი ჭაპან-წყვეტა სჭირდებათ ჭარბი ქონების დასაგროვებლად.

მოიძიეთ სწორი პასუხი: რა საერთო აქვს წინამდებარე ორ მოცემულობას? . . .

—კბილის დანიშნულება კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ, მას აქვს კიდევ სხვა ფუნქციაც... მოუხმეთ თქვენს მახვილგონიერებას და გვიპასუხეთ—რა არის ის სხვა ფუნქცია? . . .

—ვეფხვს გარდა ძირითადი სახელისა, კიდევ სამი სახელით მოიხსენიებენ—ჩამოთვალეთ...

—სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველის (მონარქიული წყობილების დროს) და მრავალწლოვანი მცენარის ზოგადი სახელწოდების შეერთებით მიიღებთ თქვენთვის სასურველ სტუმარს (გვიპასუხეთ). ...

—„ნუგ“—მარცვალს დაუმატეთ მიწის დასამუშავებელი მარტივი იარაღი და მიიღებთ თქვენთვის საყვარელ საახალწლო საჭმლის ზოგად სახელს....

—მოგვაწოდეთ თქვენეული (მახვილგონივრული) „შეფასებები“. გაგვეხარდება, წინასწარ გიხდით მადლობას (555 78 08 55)...

ნ. იშხნელი

თერჯოლა ჩემი ქალაქია!
თერჯოლა ჩვენი ქალაქია!
ახალ წელს ვულოცავთ!



პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი დიდი შოთა რუსთაველი ვეფხვის წელიწადს გვილოცავს და გვმოძღვრავს:

მე, რუსთაველმან შოთამან გაწვდინეთ ვეფხვის ბალადა,
ძევრს ვიჯექ შიგან ქვაბულსა, სად მზეს წყვდიადი მალავდა,
იქ ვწერდი „ვეფხისტყაოსანს“, მისი ამბავის მთხრობელი,
მისი მეხოტბე პირველი, მისთვის ცრემლშეუშრობელი,
ესე ამბავი ნამდვილი, აროდენ ყურმოკრულია,
სოფელ მაშინ არს ძლიერი, სიკეთის ხე როცა რგულია,
„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.
ამას მიმოწმებს თერჯოლაც—საიმერეთოს გულია!

* * *

გვიყვარს და ვეფერებით. მეტად ვზრუნავთ მის იერსახეზე, ვიდრე ოდესმე, უფრო ლამაზად გვიჩენს თავს—პირდაბანილი და თმადავარცხნილი. დილაუთენია გავაღოთ ფანჯრები. დილის ჟანგბადი შევისუნთქოთ ხარბად და სიყვარულის მზერა მივადევნოთ ქუჩაში ნაადრევად გამოსულ თანამოქალაქეებს.

დილამშვიდობისა ვუსურვოთ ერთმანეთს...

დაიმშვენა ქალაქმა ახალი კონსტრუქციულ-კოსმეტიკური სახე-ცვლილება მოცულობითი ინფრასტრუქტურული პროექტების შესაბამისად რომ ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია.

ქალაქის გული ახლა სულ სხვაა, თითქოს გათავისუფლდა სიმძიმისაგან, უფრო მსუბუქად სუნთქავს.

ახალი, თანამედროვე არქიტექტურული შენაძენი—იუსტიციის სახლი კი, რომლის მშენებლობა დაიწყო, კიდევ მეტ ეშხსა და სილამაზეს შესძენს ჩვენს ქალაქს.

ეს ყველაფერი გვაქეზებს და გვავალდებულებს კიდევ მეტად მოვუაროთ და მოვესიყვარულოთ მის ყოველ საცხოვრისს, ეზოს, ნარგავებს.

ვიყოთ და ვიღვაწოთ ერთმანეთისადმი კეთილგანწყობით. ამას ჩვენი თერჯოლელობა გვავალდებულებს.

თერჯოლა ჩვენი ქალაქია!

ბედნიერი ახალი წელი ჰქონდეს!

ახლა ფოტოებს „მოვუსმინოთ“ ახალი წლის კვირაძალზე გადაღებულ შთამბეჭდავ და მეტყველ პოზიტივს:

ნორჩი მეორე საჯარო სკოლელები... ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის განახლებულ ქუჩაზე.
ეს ლამაზი ქუჩა ახლა ჩვენიც არის, ამ გზით სკოლაში უნდა ვიაროთ—წავიდეთ ჩქარა, წავიდეთ ჩქარა, არ დავაგვიანოთ...

—ჩვენმა ქალაქმა ახალი, მაღლივი საცხოვრებელი კორპუსი რომ დაიმშვენა—ცხადია!
ეს სამომავლო სერიოზული განაცხადია!
ეს ერთი და სხვა მრავალი, ჩემო ქალაქო!

სავაჭრო ცენტრ „კოლხასთან“ მიმდებარე სკვერისა და ვრცელი დეკორაციული არეალის განახლებას ველოდით დიდი ხანია.
ვუცქერთ ახლა ამ ყველაფერს და გვიხარია...

* * *

ასე...
დავდივარ ჩემი ქალაქის ქუჩებში და მეამაყება. მასზე ფიქრი, მასზე ოცნება თან დამყვება.

ნუგზარ გამყრელიძე

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი ვალერიან გოგიაშვილი 599 92 49 75
მთავარი რედაქტორი დავით კლდიაშვილი 599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872